# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 207 შაბათი, 19 სექტემბერი 1909 წ. № 207

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ცალკე დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გ. მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

**ექიმი** ქ. ქუთაისში. **მ. დ. ბეთანოვი**
აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის ხენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—21)

**ექიმი** კბილისა **ს. ვაშაყმაძე**
აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—10)

**ექიმი** კ. ს. **ფონ-ირტელი**
არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. მაგრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—2)

**ექიმი** ა. ნ. **დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ი. ნ. **ეგიაზაროვის**
ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—10)

**ექიმი** ლ. ნ. **ოჯანჯანოვი**
ყოფილი ასისტენტი პროფ. ხიცისა ციურიხში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—16)

**ექიმი** **ჩარექოვი** ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.
იღებს განსაკუთრებით **სიფილისით,** ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მეზობელი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—12)

**ექიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი** ქუთაისში
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარცხვ დიდის, ციების და თირკმელების (ქაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—65)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა **იორდანე მ. გოცაძე**
**დაბა ყვირილაში**
მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—21)

**ექიმი** **კაკიტელაშვილი** ქუთაისში
9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—68)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 161)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—9)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—536—251)

**ექიმი** **გ. ლამბაშიძე**
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** **გ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნო, N 9. (უ)

**ექიმი** **ვასილ წერეთელი** ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—0)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

ახლად გახსნილი
**ტფილისის**
## კერძო სამკურნალო
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფოლდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
**ვ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.
**ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. ხულიჩაშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—159)

## სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**
მუდმივ კრაოტეით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.
**ავადმყოფთა მიღება:**
**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.
**მ. იაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მოხინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.
სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება ძეხვედება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—9)

ნაფიცი ვექილი
## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე
**ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში**
(ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო **„ლონდონის"** ახლოს). (25—6.—11)

**გამოვიდა და იყიდება**
## „ქება-ქებათა"
**სოლომონისი,** კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით და
## „სულამიტ",
ა. შანშიაშვილისა. გამოცემა კ. აბაშიძისა. წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ფასი ორი შაური. (10—6)

კვირას, 20 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკში დანიშნულია

**ჩვეულებრივი საზოგადო კრება**
## საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა

კრებაზე წაიკითხავენ რეფერატებს:

1. **ბ-ნი მოსე ჯანაშვილი:** „სერაპიონ ზარზმელი, ახლად აღმოჩენილი ხელნაწერით".

და 2. **დეკანოზი კორნელი კეკელიძე:** „ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობის სამეცნიერო მნიშვნელობა".

საზოგადოების წესდების ძალით კრებას შეუძლიანთ დაესწრონ არაწევრებსაც. (2—უ.—1)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—29)

**იყიდება ყველგან ახალი**
## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაიჩი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—6.—19)

## დეპეშები

პეტ. ტელ. სააგენტოსაგან

18 სექტემბერი

### სპარსეთი

**თავრიზი.** ურმიის გუბერნატორი მოხტესა-მუს-სალთანე ხოიში არ შეუშვეს ადგილობრივმა ფიდაებმა. მოხტესა-მუს-სალთანე ხოისა და სალმასის გზით ურმიაში მიდიოდა. ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორმა ურმიის ფიდაების მეთაურად ნამყოფი საიდულ-მემალიკის იარაღის ასაყრელად გაგზავნა.

**თავრიზი.** მეჯლისის დეპუტატებად 15 კაცი აირჩიეს; მათ შორის, მუსტაფარ-ულ-დოულე, აგიზადე, მირზა-ისმაილი, ნოუბერი და მირზა-რიზა. მირზა-რიზა გერმანიის საელჩოში მსახურობს.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ოსმალეთის განსაკუთრებული საელჩო ლივადიაში 22 სექტემბერს წავა. წინა დღით ლივადიაში გაემგზავრება რუსეთის ელჩი ჩარიკოვი.

### საზღვარ-გარედ.

**მადრიდი.** გურუგუს ალებაში მონაწილეობა მიიღო ქვეითა ჯარის 16 როტამ, არტილერიის 3 ბატარეამ, ცხენოსანთა ჯარის 3 ესკადრონმა და საპიორების ერთმა რაზმმა. გურუგუში ესპანელებმა 4 როტა ჯარი დასტოვეს და გაამაგრეს.

**ლონდონი.** ზედა-პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლითაც უნდა გაადვილდეს ირლანდიაში მიწის შეძენის საქმე. კანონპროექტით ირლანდიის ზოგიერთ ადგილებში ძალით შეიძენენ მიწებს. შესაძლებელია, რომ ზედა-პალატამ კიდევ შეასწოროს კანონპროექტი.

**მადრიდი.** აღელვებულმა ხალხმა სიმღერით გაიარა მადრიდის მთავარ ქუჩებში და სასახლის წინ გაჩერდა. ხალხი ჯარსა და მეფეს პატივცემას უცხადებდა. მეფე სასახლის აივანზე გამოვიდა და ხალხს სალამი მისცა.

### რუსეთი

**ხარბინი.** შეკრებილ ცნობებით ამხანაგობა „ხარბინის" ლუდის ქარხნის საჯაროდ გაყიდვის დროს შემდეგი ინციდენტი მომხდარა: 13 სექტემბერს დილის 11 საათზე ამხანაგობა „ხარბინის" ლუდის ქარხანაში მისულა სასამართლოს ბოქაული სივკო. სივკოს ოლქის სასამართლოს დადგენილებით საჯაროდ უნდა გაეყიდნა ეს ქარხანა. ბოქაულის მისვლისას ქარხნის ალაყაფის კარები დაკეტილი ყოფილა. ბოქაულს კარების გაღება მოუთხოვნია, რაზედაც უარი მიუღია. ამის შემდეგ ბოქაულს ორ დარაჯისთვის უბრძანებია გალავანზე გადადით და კარები გააღეთო. დარაჯები გალავანზე გადავიდნენ. აქ მათ დაუხვდნენ გერმანიის ქვეშევრდომები რეგტერი და როზენვაგერი, ამხანაგობა „ხარბინის" წევრები, და დარაჯებს ცემა დაუწყეს. დარაჯებმა ხმლები ამოიღეს და მხოლოდ მაშინ შესძლეს ხემოდასენებული პირების მოშორება. დარაჯებმა ალაყაფის კარებები ძალით გააღეს და ბოქაულმა საჯარო ვაჭრობა მოახდინა. საჯარო ვაჭრობის შემდეგ რეგტერმა და როზენვაგერმა ქარხანაზე გერმანიის დროშა აუშვეს. კერძო ცნობებით რეგტერს და როზენვაგერს დარაჯებისთვის ძალლები მიუსისინებიათ.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. გარეშე საქმეთა მინისტრმა ხარბინში მომხდარ ინციდენტის შესახებ შემდეგი ცნობები მიიღო: ოლქის სასამართლოს და რუსეთის პეკინის საელჩოს დადგენილებით ამხანაგობა „ხარბინს" სხვა და სხვა პირებისთვის 3,000 მანეთზე მეტი უნდა მიეცა. სასამართლოს ბოქაული შეუდგა ამხანაგობა „ხარბინის" ლუდის ქარხნის საჯაროდ გაყიდვას. ამაზე გერმანიის კონსულმა პროტესტი განაცხადა, სასამართლოს უფლება არა აქვს „ამხანაგობას" გადაახდევინოს ეს ფული, მომჩივრებს შეუძლიანთ „ამხანაგობის" თვითეულ წევრს უჩივლონო და არა „ამხანაგობას", როგორც იურიდიულ პირსაო. გერმანიის კონსულის ეს პროტესტი გადაეცა ოლქის სასამართლოს, სასამართლომ განიხილა კონსულის პროტესტი და წინანდელი დადგენილება გამოიტანა. ამასთან სასამართლომ განმარტა, თუ გერმანიის ქვეშევრდომები ოლქის სასამართლოს დადგენილებას უკანონოდ სცნობენ, შეუძლიანთ შემდეგში განასაჩივრონ, ეხლა კი ამხანაგობამ უნდა გადაიხადოს 3000 მანეთიო. 13 სექტემბერს სასამართლოს ბოქაული წავიდა ლუდის ქარხნის საჯაროდ გასასყიდად, მაგრამ ლუდის ქარხნის ალაყაფის კარებები დაკეტილი აღმოჩნდა. ბოქაული იძულებული გახდა ძალით შესულიყო ქარხანაში. ამასთან გერმანიის ორმა ქვეშევრდომმა ორ დარაჯს სცემა. რუსეთის მთავრობა სამართალში აძლევს გერმანიის ამ ორ ქვეშევრდომს. ამის შესახებ შედგენილი განაჩენი გადაეცა გერმანიის კონსულს. გერმანიის კონსულმა თავის მხრივ პროტესტი განაცხადა, რუსეთის მთარობას უფლება არა ჰქონდა გერმანიის ქვეშევრდომების საქმეში ჩარეულიყო და მათთვის ქონება გაეყიდნაო.

**პეტერბურგი.** თავი მოიკლა სენატორმა კოვალენსკიმ, იმ კოვალენსკების მამამ, რომლებიც სისხლის სამართალში იყვნენ მიცემულნი სხვა და სხვა პირების ღასახიჩრებისათვის.

**ვარშავა.** ვარშავის სადგურზე სამმა უცნობმა იარაღი აჰყარა და დასჭრა საერობო დარაჯი. უცნობებს დაედევნენ ჟანდარმები და დარაჯები. უცნობებმა თავი შეაფარეს ერთ სახლს. რაკი პოლიციელები ვებას გახდნენ, ერთი როტა სალდათი გამოიწვიეს. სალდათებმა ბოროტ-განზრახველები მოჰკლეს.

**პეტერბურგი.** სასტუმროში (სიმონოვის ქუჩაზე) უცნობმა მოჰკლა ქალი. უცნობს ჯერ გაუპატიურებია ქალი და მერე მოუკლავს. სასტუმროს მოსამსახურეს მოუნდომებია უცნობის დაპატიმრება, მაგრამ უცნობმა გაქცევა მოასწრო. უცნობი დააპატიმრეს. უცნობი აღმოჩნდა ის კაცი, რომელმაც ამ რამდენიმე კვირის წინად სასტუმრო „დუნაიში" ქალი გააუპატიურა და შემდეგ მოჰკლა.

სამოსამართლო პალატამ განიხილა სამი გლეხის საქმე. ამათ ჰბრალდებოდათ ჯარში პროკლამაციების გავრცელება. სასამართლომ გადაუწყვიტა: ერთს—წლით ნახევრით და ორს—თითო წლით—ციხე.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა გაზეთ „გოლოსის" რედაქტორის სილიაკოვის საკასაციო საჩივარი. სილიაკოვს გადაწყვეტილი აქვს ერთი წლით ციხე.

ამ ბოლო დროს სახელმწიფო ბანკში აღმოაჩინეს კარგა ბლომა ინგლისური ყალბი ფული.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 31, გარდაიცვალა 18, ავად არის 354 კაცი.

**გროდნო.** ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2 კაცი.

## გაპონი

ამ ბოლო დროს სატახტო ქალაქის გაზეთები კვლავ ალაპარაკდნენ გაპონზე. ერთ დროს, როგორც ვიცით, გაპონი საარაკო გმირად გადაიქცა. მუშების ერთი ნაწილი მას აღმერთებდა. გაპონი 1906 წელს მოულოდნელად დაიკარგა და არავინ იცოდა, რა მოუვიდა. ვინ იცის, რას არ ამბობდნენ მაშინ. მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოირკვა ყველაფერი და ის, თუ რა ედო სარჩულად გაპონის მოქმედებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრანგულ გაზეთ „მატენ"-ში იბეჭდება სოციალ-რევოლიუციონერების ინჟენერ რუტენბერგის მოგონებანი გაპონის შესახებ. მოგვყავს რუტენბერგის წერილების მოკლე შინაარსს.

1906 წელს რუტენბერგი არალეგალურად მოსკოვში სცხოვრობდა თურმე. 6 თებერვალს მასთან მისულა გაპონი და უამბნია, როგორ სცდილობენ იმისთვის მატიუშინსკი (ყოფილი ეს-დეკი და ეს-ერი) და მანუილოვი, როგორ აფასებს მას ვიტტე და როგორ დაჰპირდა ეს უკანასკნელი გახსნას გაპონის პარტიის განყოფილებანი, მისცეს 30,000 მანეთი და გაანთავისუფლოს იგი, ამ დაპირების შემდეგ გაპონი საზღვარ-გარედ წასულა, ხოლო თავის რწმუნებულად მატიუშინსკი დაუტოვებია. 1905 წელს 25 დეკემბერს გაპონი რუსეთში დაბრუნებულა და გაუგია, რომ ვიტტეს თავისი დაპირება არ შეუსრულებია. მართალია, განყოფილებები გაუხსნიათ, მაგრამ მალე დაუკეტნიათ და 30,000 მანეთის მაგიერ განყოფილებებისთვის 7,000 მანეთი მიუციათ. გაპონს აქ გაუგია, რომ მატიუშინსკის უსარგებლნია გარემოებით, ეს 23,000 მანეთი გაუტაცნია და გაქცეულა. გაპონს მალე უნახავს მანუილოვი და თავის საქმეზე გამოუკითხავს. მანუილოვს უთქვამს: შენ საქმეს ეხლა დურნოვო აწამოებს და რაჩკოვსკის, დურნოვოს მარჯვენა ხელს, სურს შენი ნახვაო. გაპონი დასთანხმებულა და რაჩკოვსკის რესტორანში პირისპირ შეჰხვედრია. რაჩკოვსკის გაპონისთვის უთქვამს, დურნოვოს სახელით გელაპარაკებიო. დურნოვო, ტრეპოვი და სხვები ძალიან გაფასებენ და ნიჭიერ კაცად გთვლიანო. გასულა რამდენიმე ხანი და გაპონი ხელ-მეორედ შეჰხვედრია რაჩკოვსკის. რაჩკოვსკისთან ერთად ამ დროს ჟანდარმთა პოლკოვნიკი გერასიმოვიც ყოფილა. რაჩკოვსკის უთქვამს: მე მოვხუცდი, ალარაფრისთვის არ ვარგი-ვარ, ეხლა თქვენისთანა ხალხია საჭირო, დაიჭირეთ ჩემი ადგილი (პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორობა) და საქმე კარგად წავაო. თანაც დაუმატებია, გაგვაცანით საქმის ვითარება, საზღვარ-გარედ და რუსეთში ბევრს ხალხს ჰხვდებოდით, მოიქეცით ისე, როგორც ლევ ტიხომიროვი მოიქცა (ტიხომიროვი ერთ დროს გამოჩენილი „ნაროდოვოლეცი" იყო, ეხლა რეაქციონერია, რედაქტორობს „მოსკ. ვედომ."). ერთი სიტყვით, დაგვიმტკიცეთ ერთგულება, რომ მთავრობა გენდოთო. გაპონს ჯერ უარი განუცხადებია, და შემდეგ უთქვამს, დაწვრილებით გავიგებ ხელმწიფის, ვიტტეს და დურნოვოს მოკვლის განზრახვის საქმეს და შეგატყობინებთო.

ყოველივე ეს რუტენბერგს დიდის გულდასმით მოუსმენია გაპონისაგან. ამ უკანასკნელს ისიც დაუმატებია, ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, რევოლიუციონურის აზრით ჩავდივარ, მინდა რაჩკოვსკი ცარიელზე დავსვა: თუ საქმე კარგად წავიდა, შესაძლებელია პოლიციის დეპარტამენტის აფეთქება, მხოლოდ საჭიროა აზეფისა და პავლე ნიკოლაევიჩის საჩქაროდ ნახვა, რომ სამხედრო ორგანიზაციაში შევიდე და ტერორები მოვაწყო, მერე საქმე გაიჩარხებაო.

რაკი რუტენბერგი მიმხვდარა, რომ გაპონი მთავრობის მხარეზე გადასულა და ამხანაგების გაყიდვა დაუწყვია, გადაუწყვეტია მისი მოკვლა. რუტენბერგი პეტერბურგში წასულა ცენტრალურ კომიტეტის წევრების სანახავად, მაგრამ იქ არავინ დაჰხვედრია. პეტერბურგში უთქვამთ, აზეფი ამ ჟამად სევერსკშიაო. რუტენბერგი სევერსკში წასულა, სადაც აზეფი უნახავს. რუტენბერგი სწერს: აზეფი ძალიან აღელვა გაპონის საქციელმა. აზეფმა მითხრა, გაპონი უნდა მოვკლათო. გეგმა ასეთი იყო: რუტენბერგს გაპონი სამხედრო ორგანიზაციის ეტლით ქალაქის განაპირა ბაღში უნდა წაეყვანა. იქ დიდ-ხანს უნდა გაეჩერებინა და როდესაც ხალხი დაიშლებოდა, ამავე ეტლით ტყეში წაეყვანა და იქ მოეკლა. მალე სევერსკში ჩასულა ცენტრალურ კომიტეტის მეორე წევრი სუბოტინი. ისიც აზეფს მიმხრობია. სევერსკშივე აღმოჩნდა ცენტრალურ კომიტეტის მესამე წევრი კრასნოვი. კრასნოვი გაპონის ამნაირად მოკვლის წინაამდეგი ყოფილა. გაპონს მუშები ენდობიან და ჩვენ რომ მოვკლათ, არ დაიჯერებენ, რომ ის გამყიდველი იყო და ხმას გაავრცელებენ, ვითომ ჩვენ შური ვიძიეთ და სხვა. ამიტომ საჭიროა, გაპონი იმ დროს მოვკლათ, როდესაც ის რაჩკოვსკისთან იქნება და რაჩკოვსკიც თან მივაყოლოთო.

მეორე დღეს შევიკრიბენით მე, კრასნოვი, აზეფი და სუბოტინი. კრასნოვი წინანდელ აზრს იცავდა. მას მიემხრო აზეფი და განაცხადა, ეს კარგი იქნება, რადგან ორ კურდღელს დავიჭერთო. დიდი ხანია მაჩკოვსკის მოკვლა მინდა, მაგრამ ვერ მოვახერხეო. მე და სუბოტინიც სასარგებლოდ და საჭიროდ ვცნობდით ორივეს მოკვლას, მაგრამ ვეჭვობდით, რომ ამის განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო. ჩვენი ეჭვი გამართლდა. ამ შემთხვევაში კი გადასწყდა, რომ გაპონი და რაჩკოვსკი ერთად უნდა მომეკლა. საქმე იმაშია, რომ გაპონი თვითონვე მაძლევდა წინადადებას, რაჩკოვსკი ინახულე, შენი ნახვა უნდა და კარგა

ბლომა ფულსაც მიიღებ, მხოლოდ საჭიროა „დახმარება“ გაუწიო რაჩკოვსკისაო. ამ საქმის გეგმა აზეფმა შეადგინა. ამ გეგმით რევოლიუციონერ ივანოვის და სხვათა შემწეობით განგებ ისე უნდა დაგვეყენებინა საქმე, ვითომ დურნოვოს მოკვლა მინდოდა. რაჩკოვსკი უნდა დარწმუნებულიყო, რომ მე რევოლიუციონურ აქტების ჩადენა მინდა და მაშინ იგი უფრო მოიწადინებდა მასში ჩემ ნახვას. კრასნოვი და სუბოტინი სევერსკიდან წავიდნენ, დარჩა მარტო აზეფი. აზეფი ინსტრუქციებს მაძლევდა. დაწვრილებით არ შემიძლიან მოვიგონო აზეფის ნალაპარაკევი. მხოლოდ ეს კია, რომ აზეფმა გადასწყვიტა, რომ რაჩკოვსკისა და გაპონს ერთად ვერ მოვკლავდით, ამიტომ მარტო გაპონი უნდა მოგვეკლა. რადგან მე სევერსკიდან მივდიოდი და ამის გამო ცენტრალურ კომიტეტთან კავშირს ვსწყვეტდი, აზეფმა ყველაფერი დამიმზადა. თუ მარტო გაპონს მოვკლავდი, უნდა მომეკლა ვიბორგსა და პეტერბურგს შუა. საჭირო იყო ცხენები და სახლი. აზეფმა მიმართა ადგილობრივ პარტიას ნ—ს (რევოლიუციონური პირტია), აუხსნა საქმის გარემოება და დახმარება სთხოვა. მე ამ დროს აზეფთან ერთად ვსცხოვრობდი. სევერსკიდან წასვლის წინა დღეს სევერსკში ჩამოვიდა ცენტ. კომიტეტის წევრი ფროლოვი და გადმოგვცა, ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა, თუ დაგჭირდებათ, ერთი ცხენი და ორი კაცი მოგაშველოთო.

ამის შემდეგ სევერსკიდან წავედი. გაპონი რამდენჯერმე ვინახულე და განვუცხადე რაჩკოვსკის ვნახამ მეთქი. მხოლოდ, რომ უფრო კარგად მეთამაშნა „გამყიდველის“ როლი, 25,000 მანეთი მოვითხოვე და თანაც დაუმატე, თუ დურნოვოს მოკვლის განზრახვის ამბავს გადავსცემ, ამ ფულს 50,000 მანეთი კიდევ უნდა დაუმატოს მეთქი. ჩემთან ლაპარაკის დროს გაპონი თავის მოქმედებას იმითა ხსნიდა, ვითომ მას „მტრის ბუნაგში“ შეპარვა უნდოდეს და აზრად ხალხის კეთილდღეობა ჰქონდეს. ზოგჯერ კი დაავიწყდებოდა ხოლმე, ვისთან ჰქონდა საქმე და „მემარცხენეებს“ დასცინოდა. გაპონი სასაცილოდ იგდებდა სამედიატორო სასამართლოს. სამედიატორო სასამართლოს უნდა გამოერკვია, გაპონმა რას და ვის მოახმარა ის ფული, რომელიც მთავრობისგან თავის „განყოფილებების“ გასახსნელად მიიღო. სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეული იყო პროფესორი გრიბოვსკი. „დამიმტკიცონ დოკუმენტებით ხელში, რომ მე პროვოკატორი ვარ. ფულს ვიღებდი? რა ვუყოთ მერე, ეს ფული ხალხისაა და რატომ არ უნდა მესარგებლნა ხალხის ფულით ხალხისავე სასარგებლოდ? რა უნდა სთქვან ჩემზე? მთავრობასთან კავშირი მქონდა? მქონდა, მაგრამ ხალხის გულისთვის“. როგორც იყო მოვრიგდით და რაჩკოვსკი უნდა მენახულა. დანიშნულ დროს კიუსას რესტორანში უნდა მივსულიყავ, მეკითხნა ივანოვის კაბინეტი და იქ რაჩკოვსკი დამიხვდებოდა. მართლაც, დანიშნულ დროს მივედი კიუსას რესტორანში, მაგრამ რაჩკოვსკი არ მოსულიყო. სამაგიეროდ, რესტორანი სავსე იყო აგენტებით.

რაკი აქ არაფერი მოხერხდა, გადავწყვიტე გაპონის მოკვლა. ამის გულისთვის მივმართე მუშების ერთ ჯგუფს. ეს მუშები კარგად იცნობდნენ გაპონს. როდესაც მუშებს გადავეცი გაპონის ამბავი, არ დაიჯერეს, რომ გაპონი პროვოკატორი იყო. გადავსწყვიტეთ, რომ გაპონს მუშებთან წავუყენებდი ბრალდებას. შემდეგ ამ გეგმასაც თავი მივანებეთ. მე უნდა მენახულა გაპონი. იქვე ახლო მომიცდიდა ეტლი. მეეტლედ ჩვენი კაცი უნდა ყოფილიყო და მას უნდა მოესმინა გაპონის ნალაპარაკევი. მართლაც, ასე მოვიქეცით. გაპონმა დამიწყო ლაპარაკი რაჩკოვსკიზე და ამხანაგების გაცემაზე. რაჩკოვსკი თანახმაა დურნოვოს მოკვლის განზრახვის გასაცემად 25,000 მანეთი მოგცესო. დააჩქარე საქმე, 25,000 მანეთი კარგი ფულია; რაჩკოვსკისაც ეჩქარება, რადგან ეშინიან, რომ დურნოვო არ მოჰკლანო. გაპონი გულ ახდილად ლაპარაკობდა. რა უყავი ის 50,000 ფრანკი, რომელიც ზაფხულში სოკოლოვმა მუშებისათვის გადმოგცა მეთქი. გაპონმა ყურები სცქვიტა. დამიწყო ყვედრება. როგორი კონსპირატორი ხარ, რომ მეეტლესთან ამისთანეებს მელაპარაკებიო. ჩვენც ეტლიდან ჩამოვედით, ეტლი გავისტუმრეთ და ისე დავიწყეთ ლაპარაკი. ამასობაში „მეეტლემ“ თავის ამხანაგებს ყველაფერი გადასცა. მუშებმა გადასწყვიტეს, გაპონი აქვე მოეკლათ. მე არ დავთანხმდი, რადგან ფინლანდიის ტერიტორიაზე ვიყავით და მეშინოდა მთავრობას ჯავრი არ ეყარა ფინლიანდიაზე. გაპონს თავი მივანებე, იგი სახლში დაბრუნდა. მუშებს ჩემი აზრი გავუზიარე და ძალიანაც მოეწონათ. ოზერკაში პუტილინის სახელით დავიქირავეთ ზვერჟიცკის აგარაკი. აქ უნდა მომეყვანა გაპონი, ოთახებში მუშები დამემალა, რომ თავიანთ ყურით მოესმინათ გაპონის სიტყვები. 27 მარტს აგარაკი მზად არ-იყო. ამ დღეს გვინდოდა გაპონის მოკვლა. რაკი ამ დღეს ვერ მოვახერხეთ და გაპონს ისეც ეჭვი ებადებოდა ჩემ გულრწფელობაში, წერილი მივსწერე. ვატყობინებდი, თანახმა ვარ დურნოვოს მოკვლის განზრახვა შევატყობინო, მხოლოდ იმ პირობით კი 50,000 მანეთი მომცენო. წინდაწინვე 15,000 ან 10,000 მანეთია საჭირო მეთქი. გაპონისგან იმ დღესვე მივიღე პასუხი. მწერდა შენი ბრალია, რომ საქმე ჭიანურდება. დღეს ან ხვალ ინახულე ის პირი და საქმე გათავდესო. ეს წერილი 27 მარტს მივიღე. რაკი საქმე დაყოვნებას აღარა თხოულობდა, გაპონი ოზერკაში მოვიწვიე. გაპონი მართლაც მოვიდა, თან ორი აგენტი წამოეყვანა. გაპონი აგარაკში შევიყვანე და აქ ყველაფერი ვათქმევინე. მუშები იმის სიტყვებს ყურს უგდებდნენ. ამ ლაპარაკს ის მოჰყვა, რომ მუშებმა იგი ჩამოახჩვეს. სიკვდილის წინ გაპონი იმუდარებოდა, ნუ მომკლავთ, მაპატიეთ, მაგრამ ამაოდ. მუშებმა გაპონი იქვე ოთახში ჩამოჰკიდეს. გაპონს ზედ აღმოსჩნდა 1300 მანეთი ფულად. ორი პატარა უბის წიგნი. ლიონის საკრედიტო ბანკის ცალკე ყუთის გასაღები და კვიტანცია და სხვა. გაპონის მოკვლის ამბავი აქ მოკლედ მოგვყავს, რადგან ჩვენ გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ (იხილე „დროება“ № 179).

**ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „უეცარი ტალღა“, დრამა (შემდეგი) ლევ. მეტრეველისა; სურათები: მაროკოს ტახტის მაძიებელი როგი გალიაში; დირიჟაბლი „რეპიუბლიკ“; ჩრდილოეთ პოლიუსის აღმომჩენი პირი და კუკი; ლეფებრი, დანიელი მოგზაური და ჟურნალისტი პატუსენი.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **რუსების ჩასახლება.** რამდენჯერმე აღგვინიშნავს, რომ ზოგიერთი ჩვენი მემამულენი უანგარიშოდ ჰყიდიან უცხოებზე მამულებს. მესამე წელიწადია, რაც ბორჩალოს მაზრის სოფელ ყალამშიას გლეხები ევაჭრებიან მემამულეს თავ. ქობულაშვილს, მაგრამ ვერ მორიგდნენ. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, ქობულაშვილს მოლაპარაკება გაუმართავს რამდენსამე სომეხთან, რომელთაც უნდათ შეიძინონ ის ადგილები (800 დესეტინამდე), სადაც სცხოვრობენ ყალამშიელები და მიჯგლები. თუ მათ ყალამშიელების ადგილები შეიძინეს, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უბედურება იქნება საუკუნოებით დაბინავებულ ხალხის აყრა და ახალ საცხოვრებელ ბინის ძებნა. გარეთ კახეთიდანაც სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ. სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად არჩეულს თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილს და იმის მეზობლებს მოზრდილი ადგილები აქვთ გარეთ კახეთში კაკაბეთისა და კაჭრეთის ბოლოზე. ამ ადგილების შეძენას ბევრი სცდილობდა თურმე და რუსეთის შიდა გუბერნიიდან გადმოსულებს კიდეც მოუხერხებიათ დიდი ნაწილის შეძენა. თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილისაგან, როგორც გვატყობინებენ, 1000 დესეტინა შეუძენიათ „ხახლებს“, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ეძახიან, და კიდეც შესდგომიან რუსეთიდან ჩამოსახლებას. ერთი ჯგუფი—20-30 კომლი რუსი—კიდეც დასახლდა და დანარჩენებსაც მოელიან.

✦ **მკვლელობა.** გუშინ, 18 სექტემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილში, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის მახლობლად, შემდეგი მკვლელობა მოხდა: ნაშუადღევის 2 1/2 საათზე ქუჩაში მიდიოდა იარაღის ხელოსნის შვილი სარქისოვი, რომელსაც ორმა უცნობმა მოულოდნელად რევოლვერები დაუშინეს და იქვე მოჰკლეს. რევოლვერების ხმაზე მალე გაჩნდნენ პოლიციელები და მკვლელებს დაედევნენ. ასტყდა საშინელი სროლა თოფებისა და რევოლვერებისა. უცნობებმა მაინც მოახერხეს მიმალვა. პატრულიც დაიბარეს. ქალაქის ეს ნაწილი შეჰკრეს და შეუდგნენ ჩხრეკას. მიზეზი მკვლელობის არ არის გამორკვეული. სროლის დროს ხალხი, რასაკვირველია, დაფრთხა და დაიხურა მაღაზია-დუქნებიც.

✦ **ეჩმიაძინში.** სომხები, რუსულ გაზეთების სიტყვით, ძალიან მხნედ მოქმედებენ თავიანთ ეროვნულ საქმისთვის. ამ ჟამად ეჩმიაძინში ამთავრებენ განსაკუთრებულ შენობას წიგნთ-საცავისთვის. ფული—40,000 მანეთი—გადაუდვია დ. ბ. იუზბაშევს. შენობა მთლად რკინისა და ქვისაა და ერთი ნაჭერი ხეც არა ურევია თურმე, ასე რომ ცეცხლისაგან არავითარი შიში არ მოელის. სხვათა შორის ამ შენობაში შეინახავენ 4200 ძველ ხელნაწერს. ეხლანდელ შენობას წიგნთ-საცავისას-კი ისტორიულ მუზეიდ გადააქცევენ. ამას გარდა სომეხ კაპიტალისტთა და ინტელიგენტთა ჯგუფმა გადასწყვიტა თურმე გაამშვენიეროს ეჩმიაძინი. ჯერ-ჯერობით უნდა აავონ ახალი შენობა კათალიკოსის სადგომისა და მის კანცელარიისათვის. იქვე იქნება დიდი დარბაზები სტუმრად ან სამსახურისთვის მოსულ დიდ კაცებისათვის. უკვე ვწერდით, რომ სომეხ კაპიტალისტებსავე აზრადა აქვთ, არხები გაიყვანონ ეჩმიაძინის სამონასტრო ადგილების მოსარწყავად. ეს ადგილები მონასტრის მახლობლადაა და რამდენიმე ათასი დესეტინა იქნება. ეხლა, მირონის ცხებაზე დასწრების დროს, კაპიტალისტებს საბოლოოდ გადაუწყვეტიათ ეს საქმე. არხების გასაყვანად გადასდებენ 100,000 მანეთს.

✦ **გაზეთის დაკეტვა.** ფოთში, მგონი ბ-ნ ა. ნიკიტინის რედაქტორობით, გამოდიოდა რუსული ფურცელი, გაზეთად წოდებული, „ჩერნომორსკი ვესტ.“ ეხლა, როგორც „ბატ. იზვ.“ გადმოგვცემს, ეს გაზეთი უსახსრობის მიზეზით დაკეტილა.

✦ **შუამდგომლობის არ შეწყნარება.** როგორც „ტ. ლ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, უმაღლეს მთავრობას არ შეუწყნარებია ბათუმის თვით-მმართველობის შუამდგომლობა, ბათუმში შეტანილ და გატანილ საქონელზე ქალაქის სასარგებლოდ საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ.

✦ **გადასახლებულთა დაბრუნება.** ნამესტნიკმა ნება დართო, დაბრუნდნენ სამშობლოში ადმინისტრატიულის წესით რუსეთში გადასახლებულნი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი: კონდრატი დვალი, ვიქტორ ჰუმბურიძე, ვიქტორ ქავთარაძე, იასე ბოლქვაძე და ილიკო წერეთელი.

✦ **საჩივრები.** როგორც ვიცით უკვე გააწერეს მომავალი წლის საადგილ-მამულო გადასახადი. გადამხდელთ ფურცლებიც დაურიგდათ. მათ შეუძლიათ, თუ ფურცლები სწორედ არ არის შედგენილი, ამის შესახებ 1 ოქტომბრამდე განცხადებები [illegible] საკრებულოს, რადგან ზოგიერთნი ამ გვარ განცხადებებს ნამესტნიკის სახელზე ჰგზავნიან, ნამესტნიკის კანცელარია აცხადებს გადამხდელთა საყურადღებოდ, რომ განცხადებები საკრებულოებს უნდა გაუგზავნონ, თორემ ვადა (პირველი ოქტომბერი) გავა და შეცდომის გასწორება შეუძლებელი გახდება.

✦ **გამართლება.** ტფ. სასამართლო პალატამ გაამართლა მეტეხის ციხის უფროსად ნამყოფი თავ. ი. დ. ჯავახიშვილი, მისი თანაშემწე ი. ნოსენკო და ხუთი ზედამხედველი. ამათ ჰბრალდებოდათ უმოქმედობა, რომლის შედეგიც ის იყო, რომ 1906 წელს 2 აპრილს ციხიდან გაიქცა ტუსაღი თოფურიძე ქურნია.

✦ **შემოწირულება.** ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკისაგან ილიას ძეგლისთვის წ.-კითხვის საზოგადოებამ მიიღო 200 მანეთი.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოება.** წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ უკანასკნელი სხდომა 17 სექტემბერს უმთავრესად წვრილმან საქმეების განხილვას მოანდომა. სხვათა შორის გამგეობამ განიხილა ჩოხატაურის მცხოვრებთა განცხადება ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ და დაადგინა, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა. გამგეობამ ი. მოსეშვილის განცხადების თანახმად, დაადგინა გადმოიტანოს ოდესიდან განსვენებულ ვ. პეტრიაშვილის ბიბლიოთეკა.

✦ **ერობის შესახებ.** 17 სექტემბერს დასრულდა სხდომები ერობის შესახებ პირველ სექციისა. სექციამ ყველა საკითხის განხილვა დაასრულა. მცირე კომისიამ ამოჰკრიბა 1864 და 1890 წლების საერობო დებულებათაგან საჭირო მუხლები, ზოგი თავისიც დაუმატა და სექციას ამ საღამოს წარუდგინა მთელი პროექტი დებულებისა. სექციამ მცირე ცვლილებებით მიიღო პროექტი და ამით დაასრულა თავისი მუშაობა. მომავალ კვირაში ერთს დღეს მოხდება შეერთებული სხდომა ყველა სექციისა ზოგიერთ სადაო საკითხის განსახილველად.

# მოჩვენება

დიდ ვაისა და გაჭირვებაში ჩავარდა პატარა სოფელი: აქეთ მამასახლისი და იქით „სუდია-პოპოშნიკები“ ცეცხლითა და მახვილით მეორედ ახდევინებდნენ სოფელს იმ გადასახადს, რომელიც უკვე მოეკრიფად, მაგრამ რაღაცა სასწაულით მოკრეფილი ფული უეცრად სადღაც გაპარულიყო.

დამნაშავედ თავს არავინა სცნობდა, რადგან უფალ ბოქაულს, როგორც სოფლის ბატონ-პატრონს, ვინ შეჰბედავდა, ვინ ჰკითხავდა—ფული რამ ჩაყლაპაო. გარდა ამისა ბოქაული იმ დროს სოფელში არ იყო და ყველა სოფლის საქმე მამასახლისს და იმის „კანცელიას“ ეკითხებოდა. მამასახლისი კი, როცა ფხიზელი იყო, ცემა-ტყეპას უნდებოდა; ხოლო დანარჩენ დროს ერთ დუქანში „ედისონზე“*) ვაჟ-კაცურად ქეიფობდა. ბრალი მისი, ვინც მაშინ იმის შეწუხებას გაჰბედავდა! „პოპოშნიკები“ კი არხეინად გაიძახოდნენ:

— აბა, შვილოსან, ჩვენ რა გვეკითხება, ფულის მიმღებიც მამასახლისია და ჩამბარებელიცაო.

ერთის სიტყვით დიდი აურ-ზაური და ალიაქოთი ასტყდა. მოხერხებულმა მამასახლისმა შინაურულად ხელად „ბორჩიკები“ მოიხმო, რაღაც ახალ კანონის ძალით გადასახადი ფული ხელმეორედ გააწერინა და ჩაფრების შემწეობით შეესივნენ სოფელს. აუწერელი მწუხარება და ცოდვა დატრიალდა, ისედაც განადგურებულ სოფელში: ყველა, რომელიც კი სამოც ძონძში შეხვეულ მოწმობის ბარათის ძალით შეჰბედავდა რაიმე ყოყმანს, ვინც კი შეჰკადრებდა და მოახსენებდა—აკი მოგართვი და მეორედ რაღა ცეცხლს მიკიდებო, იმ წამსვე ბარათებს უფხრეწდნენ და უმოწყალოდ ანიავებდნენ. ასტყდა ქვრივ-ობერთა წყევლა-კრულვა, ტირილ-ქვითილი, რადგან ეს მძიმე ლოდი გულიდან მოშორებული ეგულებოდათ და გადასახადზედ არავინ აღარას ჰფიქრობდა. განსაკუთრებით კი ის უბნები ივსებოდა უფრო ცოდვით, სადაც მამასახლისი დაიარებოდა თავის ჩაფრებით. მამასახლისი ერთი გულ-ზვავი და ეშმაკობით სავსე შეძლებული გლეხ-კაცი იყო. მისი რიხიანი ბრძანება, მისი გამკრიახი სიტყვა-პასუხი გულ-უბრყვილო გლეხ-კაცებს გონებას უბნევდა და აბრმავებდა; მაგრამ, სადაც კი სიტყვა ვერ გასჭრიდა, იქ კომბლითა და მათრახით იმარჯვებდა.

გათენდა თუ არა მეორე დილა, მამასახლისმა ჯერ გარე უბანი შემოირბინა, დიდი ნადავლით, მაგრამ ოცჯერ მეტი ცოდვით დატვირთული ძალლის უბანს მიუბრუნდა და ვაი-წიოკობა შეუყენა. ყველაზე უწინ ვანეს დანგრეულ ოჯახს ეწვია, სადაც მარო დილა ადრიან, პირ-დაუბანელი, თავის ბატებს დაკუწული ბალახით უმასპინძლდებოდა. გვერდით ნებივრად გამოკვებილი იხვი ამოესვა და ხავერდოვან მწვანე კისერს ალერსიანად უკოცნიდა. ვანე თვალ-ნათლივ, გულ-დანდობილი, სიმინდის გასათოხნად წასულიყო და ოჯახი კვლავინდებურად მაროს ამარა დაეტოვებინა. შემოესმა თუ არა მაროს ხმაურობა, ტიტველა ფეხები ფიცხლავ დაფხრეწილ კაბის კალთით ჩამოიფარა, ლამაზი ორი ნაწნავი უკან გადაიგდო და გაწითლებულმა თავი მორცხვად დაბლა დახარა.

— ვანე სად არის?—ბრძანების კილოთი შესძახა მამასახლისმა და იმის წინ მედიდურად გამოიჭიმა. მარო ფეხზე წამოდგა.

— სიმინდშია, — შეშინებულმა მოახსენა და უარესად აწითლებულმა თავი უფრო დაბლა დახარა.

— რა დროს სიმინდია, ქალო, როდესაც ე საჩქარო საქმე დღესვე უნდა გათავებულიყო. ან რას მირბოდა, როდემდის უნდა დამალულიყო, ის ოხერ-ტიალი?!—შეუტია რიხიანად მამასახლისმა, მრისხანედ შეხედა და დერეფნისკენ გატრიალდა.

— მღვთიშობლის მადლმა, მამა ჩემს დამალვა სრულიად არ გახსენებია. ის იყო, გუშინ ღამ სიმინდიდან დასასვენებლად დაბრუნდა, დღესაც ერთი-ორიოდ პური გამოიხვია და თვალ-ნათლივ ისევ გასათოხნად, გულდანდობილმა გასწია.

— რას აბრახუნებ, გოგო! როგორ თუ გულ-დანდობილმა? განა არ იცოდა, რომ ახლად შემოწერილი ფული მალე უნდა გადაეხადა? აბა, რას ლაპარაკობ, ვის ეხუმრები, ე ლამაზი ყელი ჯეირანივით რომ მოგიღერებია!—უფრო შეუტია მამასახლისმა, შემდეგ, ვითომ თექვსმეტი წლის გოგოსთან ლაპარაკიც აღარ იკადრა, დაღუნა თავი და დარბაზში არხეინად შებრძანდა. ჩაფრებიც სიცილით უკან შეჰყვნენ. მაროს ერთს წამს ცეცხლი მოეკიდა.

„უკაცოდ დამიბრიყვესო!—მწარედ სთქვა თავისთვის და მღუღარება ამოუშვა. მამასახლისმა, ვითომ უგულოდ, ერთ ჟანგიან ჩალხანა ქვაბს ხელი წამოავლო, თაროდან ბული წალდი ჩამოიღო და ის იყო მაროს საქმროს მოტანილ დიდ „ბუზიკისთვის“ ხელი უნდა წაეტანებინა, როდესაც მარომ თვალი შეასწრო და მიუხედავად იმისა, რომ კაცებისა მეტად ეშინოდა, გაანჩხლებული თავ დავიწყებით დარბაზის კარებს ეცა.

— აი, შე ქვეყნის მჭამელო, ცოდვით სავსე! დამიბრიყვე მარტო ქალი და ოჯახი გინდა ააწიოკო?.. შხამადა და ცეცხლად გიქციოს ღმერთმა! განა არ კიცი, რომ ის ფული შენ შეჭამე და მეორედ კიდევ ტყავს გვაძრობ, შე იუდის კერძო, შენა! —შესძახა გააფთრებულმა, მთელ თვის ძალ-ღონით მამასახლისს ხელი ჰკრა, იქვე თავმოხდილ ცარიელ ქვევრზე წაჩეხა, თვითონ „ბუზიკას“ ეცა და თვალის დახამხამებაზე მეზობლებთან გაქანდა. მთელი უბანი ყალყზე დადგა; გამწარებული მარო ხელად მიმალეს და უპატრონოდ დარჩენილ ვანეს სახლი შერცხვენილ მამასახლისის ამარა დასტოვეს. გაბრაზებული მამასახლისი მუქარით და ერთი ორომ-მოროხით გამოვიდა, გამოიტანა, რასაც კი ხელი წაატანა; დერეფნიდან შეშინებული ბატები დაირეკა, მაროს საყვარელ იხვს თავი წაჰგლიჯა, თავი იქვე მიუგდო და არხეინად გაუდგა გზას.

* * *

ომით დაწყებული მშვენებით სავსე დილა მამასახლისმა და მისმა თანაშემწეებმა ომითვე დააღამეს. იმ ამბით გაცეცხლებული, ჯან-ღონით და სიცოცხლით სავსე ილიაც მთელი დღე ზღვასავით ღელავდა, სანამ თვით მამასახლისს დაინახავდა:

— ძაღლის სინიდისს ზედვე დავაკლავ, არ ვაპატიებ ჩემი მაროს აწიოკებასა!—აზხედრებული გაიძახოდა ილა და თან კომბლით შეიარაღებული ერთ ალაგზე ვერ ისვენებდა. უკვე ბინდდებოდა, როდესაც მამასახლისი ახლა ილას ეწვია და თითქოს მორბილებული კილოთი შეეხმაურა!

— აბა, ბელადო, დედის ერთავ! შინა ხარ, ბიჭო?

ილა იმ წამს ვენახში საკალოე მსხალს და სიმინდს ურჩევდა თავის მაროს და თან მის წიოკობას რომ იგონებდა, გული საშინლად ელრიალებდა, სისხლი ყელში უჩუხჩუხებდა.

— იმისი სისხლი კი დაიქცეს, იმისი! ერთი ნეტა ჩქარა მობრძანდეს და მე უჩვენებ იმასა!..—წამოიძახებდა ხოლმე დაფიქრებული ილიკო და თან სიმინდს მეტის სიბრაზით ლაწი-ლუწს უყენებდა, მის ფოთლებს შესეულ დათვივით აშრიალებდა. შეესმა თუ არა მამასახლისის ხმა, ილიკომ კალათს თავი ანება, ქოჩორზე ერთი მუჭა ნაბდის ქუდი შეისწორა და აჩქარებულის ნაბიჯით მამასახლისს გამოეჭიმა.

— გამარჯვება, შენი, ილა! რას დაძვრები, ბიჭო, შუა ღამისას ე ვენახში!—გამოეხმაურა მამასახლისი და, ის იყო, საქმეზე უნდა გადასულიყო, რომ ილომ აღარ აცალა, განრისხებულმა ერთხელ უკმეხად შეხედა და ტკბილი ლაქუცი მკვახედ მოუჭრა:

— გამარჯვება, შვილოსან, ჩემი კი არა, შენია; გამარჯვება არ არის, რომ მთელ სოფელს მოსდებიხარ და უსამართლოდ ანიავებ. არ გაგაჩნია არც სადმე ქვრივი და არც ობოლი. არა, შვილოსან, ეგრე ცხარედ რომ დარბიხარ, განა არ ვიცი, რა ბუზანკალიც გახტუნავებს? აბა, ე მოწმობის ქაღალდი ი ნაჩალნიკ ჩაუტანო და...

— შენ ეი!.. რას მიედ-მოედები, ხუმრობ თუ სასაცილოდ ე შენ თავს თქოს იგდებ?—შეაწყვეტინა ერთ წამს გამწრალმა მამასახლისმა და ილოს თვალებს თამამად შეხედა. ილომ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია, ჩოხის სახელო, თითქოს საკრიოდ, ზემოდ აიწია და შესძახა:

— ვაი, დედას დაველიე, რომ შენ ძაღლ ბედზედ მე იქ არ ვიყავ, როცა ი გოგოს მიწიოკებდი, თორემ გიჩვენებდი შენს სეირს, შე ქვეყნის ტვლეპია, ავაზაკო, შენა!..

— რაო?! ერთი დახე ამ ლაწირაკს, ამას! მე შენ გიჩვენებ, ჰკუის სწავლება და ურჩობა როგორც უნდა, აიქ წამობრძანდი, ი კანცელიაში, პასუხსაც მაშინ იქ მიიღებ, შე არამზადავ, მასხარავ შენა!..

აქ კი ილიკომ ველარ მოითმინა, ერთხელ კიდევ წაიწია წინ და შიგ კისერში კომბალი უთავაზა.

— დაკათ!..—შესძახა მამასახლისმა, კისერზე ხელად თოკი მოაგდო, ჩაფრებთან ერთად მაგრა შებოჭა და სამაგიერო პატივის ცემით სასოფლო სასამართლოსკენ გაიგდო.

ამასობაში კიდეც ჩამობნელდა. გულ მოჯერებული მამასახლისი თითქოს დაცხრა, როდესაც შეგროვილი ფული სასამართლოს წინ გადათვალა და მოწმების თანა დასწრებით კანცელარიაში დაკეტა. მართალია, აკლდა რამდენიმე მანეთი, მაგრამ რაოლს დასდევდა, როდესაც ერთხელ გაფლანგულ სასოფლო ვალს ხელმეორედ თავი მოუყარა. გარდა ამისა, იცოდა რა ბიჭებთანაც ჰქონდა საქმე და ამისთვის ისე ძლიერ ვერ ჩასციებოდა. მე დავყრიო, „ბორჩიკებს“ გულს უკეთებდა.

* * *

უკვე დაღამდა. დავახშმებულმა მთვარემ გორას იქით თავი ამოჰყო და თავის საოცნებო სხივებით თითქოს უფრო ნაღველით აავსო ისე-

*) „ედისონს“ ქართლში ზოგად გრამოფონს ეძახიან.

◆ **დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა რამდენიმე თხოვნა ზოგიერთ ღარიბ სახლის პატრონისა, რომლებზედაც დიდძალი ფულია დარჩენილი დასაფასებელ გადასახადისა. ზოგიერთ სახლზე იმდენია დარჩენილი, რომ მთელი ქონება რომ გაიყიდოს, ვერ აუვა. სახლის პატრონები თხოულობენ აპატიონ მათ დარჩენილი ფული. გამგეობამ დაადგინა, ასეთი თხოვნები პირდაპირ გადასცეს ხოლმე საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს დარჩენილი გადასახადების პატიების საქმე.

◆ **მატინოვის ცხედარი.** დღეს, 19 სექტემბერს, ბათუმში მოასვენებენ გვამს პარიზში გარდაცვლილ ტფ. ქალაქის თავად ნამყოფის მატინოვისას. ცხედარს 27 სექტემბერს დაასაფლავებენ.

◆ **უპასპორტოები** 17 სექტემბერს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 4 უპასპორტო კაცი.

◆ **თავის მოკვლა.** გუშინწინ, 17 სექტემბერს, ველიამინოვის ქუჩაზე სომხურ გაზეთის „ჰორიზონტის" რედაქციაში რევოლვერით თავი მოიკლა იმავე გაზეთის თანამშრომელმა დავით იაკობის ძე გალუსტიანმა. მიზეზი თავის მოკვლისა გამოურკვეველია.

◆ **სახელმძღვანელოების გამოლევა.** ეს მესამე კვირაა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში გახურებული ვაჭრობაა. წელს საქართველოს ყველა კუთხიდან ძალიან ბევრი სახელმძღვანელო მოითხოვეს. უკვე რამდენიმე ათასი წიგნი გაიგზავნა „ბუნების კარი", „დედა ენა", „რუსკოე სლოვოს" და სხვ. მოთხოვნილება ისე დიდია, რომ ბევრი სახელმძღვანელო აღარც კია გასასყიდი, მაგ., „ბუნების კარი" და „რუსკოე სლოვოს" მეორე ნაწილი. ეხლა ორივე სწრაფად იბეჭდება სამს სტამბაში და ამ თვის დამლევამდე მზად იქნება.

◆ **ი. ა. სულხანიშვილის დასაფლავება.** გუშინ, 18 სექტემბერს, დაჰკრძალეს გვამი ამ დღეებში გარდაცვალებულ ტფ. საბჭოს ხმოსნად ნამყოფისა და ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ი. ა სულხანიშვილისა. წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის ტაძარში გადაიხადეს. დაჰკრძალეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. დაკრძალვას დაესწრნენ ტფ. გუბერნატორი, ქალაქის თავის მოადგილე, გამგეობის წევრნი, ზოგი ხმოსანი და პატივის მცემელნი. ცხედარი გვირგვინებით შეამკეს ფილარმონიულ საზოგადოების წარმომადგენელმა, ქალაქისა, საპატიმრო კომიტეტის წევრებმა და ნათესავებმა.

◆ **ხოლერა.** უკვე ვწერდით, რომ ბაქოში ხოლერით ავად გახდა 14 წლის ბავშვიო. „კასპი"-ს სიტყვით, ქალაქის სასანიტარო კომისიას დაუდგენია იშუამდგომლოს, რომ ბაქო ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოაცხადონ. ეს იმიტომ სდომებიათ, რომ ამის შემდეგ ძალაში შევა განსაკუთრებული დადგენილება ქალაქის სისუფთავის შესახებ.

◆ **სამხედრო ნავთსადგურის გაუქმება.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, უმაღლესის ბრძანებით გაუქმდება ბათუმის სამხედრო ნავთსადგური. ამ ნავთსადგურის მართველობას და კანცელარიას კერჩში გადაიტანენ. ამის შესახებ ბრძანება უკვე გამოუციათ.

◆ **წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით.** შაბათს, 3 ოქტომბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ქორწილი სოფლად". ვ. მჭედლიშვილისა. კონცერტში, სხვათა შორის. მონაწილეობას მიიღებენ ვ. სარაჯიშვილი და ალ. კავსაძის ხორო.

◆ წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ „იდეალის" ფირმას შეუკვეთა საბეჭდავი მანქანა (რემინგტონი) პოლიგლოტის სისტემისა. საბეჭდავ მანქანაში სამი შრიფტი იქნება, აგრეთვე რუსული და ლათინური. რემინგტონი ეღირება 250 მან. მთავარმა გამგეობამ ჯერ გამოსაცდელად შეუკვეთა მანქანა. გამგეობა მანქანას ერთი თვის შემდეგ მიიღებს, გამოცდის და თუ დარწმუნდება მის სიკეთეში, შეატყობინებს საზოგადო დაწესებულებათა და იმ კერძო პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ მანქანის შეძენისა.

◆ 17 სექტემბერს პოლიციის მეოთხე უბანში შეიპყრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევებული გურგენ ლევოლიანცი (იგივე სტეპანიანცი) იგი პასუხის გებაში მისცეს.

◆ 18 სექტემბერს ფეოდოსიევის ქ. ღამე ვიღაც „გარსო" თავს დაეცა ზორის ერმოლაევს, დანით დასჭრა და მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 17 სექტემბერს შეიპყრეს პროფესიონალური ჯიბგირი ნუხის მცხოვრები სათარ სადიხ-ოღლი, რომელმაც ტრამვაის ვაგონში ნუხის მცხოვრებს სამედ-ოღლის ჯიბიდან 103 მ. ამოაცალა.

## ქ უ თ ა ი ს ი

◆ **წყლის საყვანი.** როგორც იქმნა, გადაწყდა (ახლა კი, მგონი, საბოლოოდ) საკითხი ქუთაისში წყლისაყვანის გაკეთების შესახებ. ქალაქის საბჭომ უკვე დაამტკიცა პირობის პროექტი, რომლითაც წყლისაყვანის კონცესია ეძლევა 35 წლის ვადით ინჟენრებს თავ. ი. ი. დადიანსა და ა. ს. კანცელს. წყლისაყვანს უნდა შეეძლოს დღე-ღამეში 200,000 ვედრო წყლის მოცემა; შემდეგში კი წყლისაყვანის ძალა უნდა გაფართოვდეს საჭიროების მიხედვით. 35 წლის შემდეგ მთელი წყლისაყვანი ქალაქის სრულ საკუთრებად გადადის. 20 წლის შემდეგ ქალაქს შეუძლიან შეისყიდოს წყლისაყვანი კონცესიონერებისაგან, რომელთაც უნდა მისცეს ნაღდი ფული უკანასკნელი ხუთი წლის ექსპლოატაციის საშუალო წლიურ შემოსავლის 6% კაპიტალიზაციის მიხედვით. წყლისაყვანი უნდა გაკეთდეს მთავრობის მიერ პირობის დამტკიცებიდან ორი წლისა და ორი თვის განმავლობაში. წყლის მისაცემად კონცესიონერებმა თავიდანვე უნდა გააკეთონ 12 ბუდკა; შემდეგ სამი წლის განმავლობაში უნდა უმატონ თითო ბუდკა; მომავალში კი ვალდებულნი არიან ყოველ 3500 მცხოვრებთათვის თითო ბუდკა მოუმატონ. ქალაქმა უფასოდ უნდა დაუთმოს კონცესიონერებს წყლისაყვანისათვის საჭირო შენობების ასაგებად ადგილები. კონცესიონერები ვალდებულნი არიან ყოველ 70 საჟენის მანძილზე გააკეთონ ქუჩებზე ცეცხლის საქრობი კრანები, საიდანაც წყალი უფასოდ უნდა ეძლეოდეთ მცხოვრებთ. ყოველს ვედრო წყალში (30 გირვანქაა) მცხოვრებნი იხდიან $1/5$ კაპეიკს; საპყრობილეებს, ქალაქის საავადმყოფოებს და სამეურნეო სასწავლებელს ვედრო წყალი ეძლევათ $1/10$ კაპიკად; ჯარს მე $1/8$ კაპეიკად (თუ ქალაქს ვალდებულად არ გახდიან, რომ ჯარს უფასოდ აძლიოს წყალი); საქონლის დარწყულებაში იხდიან თითო კაპეიკს; ქუჩების მოსარწყავად ქალაქს უფასოდ ეძლევა ამ თავიდან 25,000 ვედრო დღე-ღამეში, შემდეგ კი 10 წლის განმავლობაში უმატებენ 1000 ვედროს ყოველ წლიურად. ერთნაირს პირობებში კონცესიონერებს უპირატესობა ეძლევათ სხვებთან, რომ მიიღონ კონცესია ელექტრონის განათებისა და ტრამვაის გასაკეთებლად. თუ წმინდა მოგება 7%-ს აღემატა, ქალაქს ეძლევა წმინდა მოგებიდან 6%; ხოლო თუ წმინდა მოგება აღემატება 10%, ქალაქიც მიიღებს კონცესიონერებისაგან წმინდა მოგების 10%-ს. სულაც რომ არ იყოს წმინდა მოგება, კონცესიონერები მაინც ვალდებულნი არიან, პირველი ექვსი წლის განმავლობაში აძლიონ ქალაქს წლიურად არა ნაკლებ 1000 მანეთისა, შემდეგ კი არა ნაკლებ 3,000 მანეთისა. წყლისაყვანის გაკეთების უზრუნველსაყოფელად კონცესიონერები ადგენენ გირაოდ 6,000 მანეთს. წყლისაყვანისათვის საჭირო წყალი უნდა გამოიყვანონ მეორე ვერსის ბოლოდან (ჯაჭვის ხიდიდან დაწყებული). საბჭოს დადგენილება ამ დღეებში წარედგინება დასამტკიცებლად გუბერნატორს. როგორც გავიგეთ, ინჟენერი შაფფი თავისას არ იშლის და განაგრძობს თავის სრულიად უსაფუძვლო სჩივარს. ასეთი ძალად მაცხონეობაც არ მინახავს! საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა და ერთხმად უარჰყო მისი წინადადება წყლისაყვანის შესახებ, ის კი ძალას ხმარობს, რომ უსათუოდ მას მისცენ კონცესია.

◆ **ქიმიური ლაბარატორია.** 15 სექტემბერს ქალაქის საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ინჟენერ-მექანიკოსს რომანოვს, რომელიც ქუთაისში აპირებს კერძო ქიმიურ ლაბორატორიის გახსნას, სამი წლის განმავლობაში უზრუნველეყოს სამ-სამი ათას მანეთით სამუშაო ქალაქის თვით-მმართველობის მხრით. რომანოვი კიდეც შეუდგა ლაბორატორიისათვის საჭირო შენობის ქირაობას.

◆ **ნიხრი.** ამავე დღეს საბჭომ შესაძლოდ სცნო პურისა და ხორცის ნიხრის შემცირება. პური უნდა გაიყიდოს: ოყა პირველ ხარისხისა—12 კაპ., მეორესი—11 კაპ. და მესამესი—10 კაპ.; უცხო ჯიშის საქონლის ხორცი პირველ ხარისხის—10 კაპ., მეორესი—9 კაპ. გირვანქა; ადგილობრივი საქონლისა პირველ ხარისხის—8 კაპ., მეორესი—7 კაპ; ძუძუმწოვარა ხბოს ხორცი—11 კ.; სუკი—18 კაპ.; მოზრდილ ხბოს ხორცი—10 კაპ.; ცხვრის ხორცი—10 კაპ.; ღორის ხორცი—9 კ. და კამეჩისა—6 კაპ. გირვანქა. ამავე სხდომაზე საბჭომ, სხვათა შორის, დაადგინა: შეიძინოს ქალაქის გამგეობისათვის საწერი მანქანა ქართულ ასოებით; უყურადღებოდ დატოვებულ იქმნას ებრაელ ვაჭრების თხოვნა შესახებ იმისა, რომ მათი სავაჭროები კვირა დღეებში იკეტებოდეს მხოლოდ 9 საათიდან 12 საათამდე; ორპირის ქუჩის მცხოვრებლებს ეპატიოთ ქუჩის გასაკეთებელი გადასახადის ნახევარი და სხვა. ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი სხდომა დანიშნულია 21 სექტემბრისათვის.

◆ **ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება.** ცეცხლისაგან მამულების დამზღვევი ქუთათურ საზოგადოების მორიგი კრება დანიშნულია 20 სექტემბრის დღის 11 საათისთვის, ქალაქის გამგეობის დარბაზში. ეს კრება, როგორც ერთხელ უკვე ჩადადებული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ **ქართული თეატრი.** ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა დიდს მზადებაშია. მისი დასი პირველ წარმოდგენას მართავს 20 სექტემბერს. წარმოადგენენ აკაკის მიერ გადმოთარგმნილ „Quo vadis"-ს შემდეგი სათაურით: „ვიდრე ხვალ, უფალო". გამგეობამ გამოსცა ფურცელი, რომელშიაც აღნიშნულია, თუ რა გაუმჯობესება მოუხდენია თეატრში; სხვათა შორის, დაუქირავებია ფოიე, გაუკეთებია საპირფარეშო ოთახები; გაუკეთებია ამფითეატრი უკანასკნელ წყებების ადგილზე; შესამჩნევად შეუმცირებია ადგილების ფასები; შეუძენია დეკორაციები, ახალი ტანისამოსები და სხვა. ერთის სიტყვით, რამდენადაც კი შეიძლებოდა, თეატრის გარეგანი მხარე შესამჩნევად გაუმჯობესებია. რაც შეეხება შინაგან მხარეს, წარმოდგენების მართვას, გამგეობის მიერ დასში მოწვეული ჩვენი საუკეთესო მსახიობნი და ჩინებულად შედგენილი მდიდარი რეპერტუარი იმის თავდებად უნდა ჩაითვალონ, რომ საქმე ამ მხრითაც კარგად მოეწყობა.

# მოწერილი ამბები

**დ. ხონი.** 14 ენკენისთვე არა ჩვეულებრივი დღე იყო ხონელებისთვის. ჯერ ისევ დილით აუარებელი ხალხი მოგროვდა ხონის ბაზარში. დილის 11 საათზე ეს ამოდენა ხალხი ივანე მარაშენიძის ეზოსაკენ გაემართა. აქ თავი მოიყარეს ხონელებმა, დიდ და პატარა ჯიხაიშლებმა, იანეთლებმა, გოჩელებმა, კუდაშელებმა, სამტრედიელებმა, დანიელებმა, შაგანელებმა, კონტუათლებმა, ნახახულევებლებმა, მათხოჯლებმა, კუხლებმა, გუბელებმა და სხვა სოფლელებმა. შეიკრიბა სამი ათასამდე კაცი. ხალხის ურიდობის მიზეზი მირაბის ამორჩევა იყო. უნდა მოელაპარაკნათ წყლის საქმეებზედაც. კრების თავმჯდომარედ მთავრობას დაენიშნა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე. პირველ საათზე კრებაც გაიხსნა. აივანზე სხვებთან ერთად იჯდა კრების თავმჯდომარე ნ. ნიკოლაძე. აივნის დაბლა კი ხალხი იყო შეჯგუფული. აივანზე წარმოთქმული სიტყვები ბევრს არ ესმოდა. თავმჯდომარემ კრება კანონიერად სცნო. შემდეგ გამოუცხადა ხალხს, რომ კრებაზე წესრიგის დასაცავად თვითეულმა სოფელმა თითო კაცი აირჩიოსო. ხალხმაც სისრულეში მოიყვანეს ეს. ემ. ცაგარეიშვილმა წაიკითხა მოხსენება სარწყავ არხების შესახებ. იგი შეეხო იმ უწესობას, რომელიც იყო წელს წყლის სარგებლობის დროს; აღნიშნა აგრეთვე წყლის სათავეების და არხების უვარგისობა. შემდეგ წაიკითხა წარსული წლის [illegible] შეეკითხა ხალხს, ამ ანგარიშს თქვენ დაამტკიცებთ, თუ [illegible] მისიას აირჩევთ და მას დაამტკიცებინებთო. ვინც ამ ანგარიშს ამტკიცებს, ხელი მაღლა ასწიოსო. მთელმა ხალხმა ასწია ხელი. შემდეგ მეორე წინადადება დასვა: ვინც მომხრე ხართ კომისიის არჩევისა, ხელი ზევით ასწიეთო. აქაც მთელმა საზოგადოებამ ასწია ხელი ზევით. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ საზოგადოებას შეკითხვა თავმჯდომარისა არ ესმოდა, არ უგებდა, თუ რას ლაპარაკობდა აივანზე თავმჯდომარე. ხალხში გამეფებული ხმაურობა იყო და ესეც ხელს უშლიდა გაეგონა რამე. შემდეგ პ. კიკალეიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა; მან ხალხს ურჩია, რომ მირაბის მაგიერ ინჟენერი დაექირავებინა. მას პასუხი გასცა ნ. ნიკოლაძემ. მან უარჰყო ინჟენერის საჭიროება. მან უფრო სასურველად სცნო მირაბად იურისტის მოწვევა. მასთან მან შეაქო ინჟენერი სოფოცკი და სთქვა, თუ კი საჭირო იქნება ამ ინჟენერს გამოვგზავნითო. მან ინჟენერი ცამდის აიყვანა. სთქვა: „ასეთი ინჟენერი, არა თუ საქართველოში, მთელ რუსეთის იმპერიაში არ არისო."

ბოლოს რიგი მიდგა მირაბის არჩევაზე. ვიღამაც წამოიძახა, მირაბად ავირჩიოთ მიხეილ არჩილის ძე ლორთქიფანიძეო. არჩევნები ხელის აწევით ხდებოდა. თავმჯდომარე შეეკითხა ხალხს, ვისაც გსურთ მირაბად მიხეილ ლორთქიფანიძე ხელი ზევით ასწიეთო. ხალხმა ხელი ზევით ასწია, თუმცა ბევრმა ვერაფერი გაიგო. მასვე რამდენიმე სიტყვიერი პროტესტი განუცხადეს თავმჯდომარეს, რომ ხელის აწევით არჩევნები უკანონობაო. ვინც აქ ეხლა ხელს სწევს, იმის მეათედსაც კი არა აქვს ხმაო. თხოულობდნენ, უყუთი დაედგათ და კენჭის ყრით მომხდარიყო არჩევნები. ნ. ნიკოლაძემ არ შეისმინა ხალხის ხვეწნა. უკმაყოფილო ხალხი გაჰყვიროდა, ბობოქრობდა და კვლავ ითხოვდა კენჭის ყრას. ხალხმა ისიც კი სთხოვა, აბა გ. წულუკიძე დაასახელეთ მირაბად, დაინახავთ, რომ ყველა ასწევს ხელსაო. ნიკოლაძე არ დასთანხმდა. იგი ამბობდა, კრებას დავხურავ, გუბერნატორთან წავალ და მოვახსენებ, რომ მირაბად არჩეულ იქმნა მ. ა. ლორთქიფანიძეო. „უკანო არჩევნებით არის არჩეული მ. ა. ლორთქიფანიძეო", გაიძახოდნენ იქით-აქედან. ყველა უკმაყოფილო იყო თავმჯდომარისა. ხალხი ისე გაბრაზდა, რომ შემდეგ სიტყვა აღარავის ათქმევინა- დაიწყებდა თუ არა ვინმე, ხალხი ახმაურდებოდა. ორატორიც იძულებული იყო გაჩერებულიყო. ნიკოლაძე ივანე მარაშენიძის ოთახში შევიდა. ეს ამოდენა ხალხი სამ-ოთხ საათს იცდიდა. ბევრი წავიდ-წამოვიდა. ბოლოს ნიკოლაძე გამოვიდა და გამოაცხადა, რომ მ. ა. ლორთქიფანიძის არჩევნები კანონიერიაო. დაღლილ ხალხს არაფერი უთქვამს და დაიშალა.

**გ. ფასკუნჯი.**

---

**მიქელ-გაბრიელი** (გურია). სექტემბრის პირველ რიცხვებში სოფლელებს დაურიგდათ ცნობები მომავალ 3 წლის განმავლობაში სადგიდ-მამულო გადასახადის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, გასულ წლებთან შედარებით, ეს გადასახადი თითქმის გასამკეცებულია. სოფლელები მეტად დაადონა მოულოდნელმა ცნობამ. „თუ ამდენი გადასახადი დაგვკისრეს, ძმავ, საკუთრებაზე ძალაუნებურად ხელი უნდა ავიღოთო!" ამბობენ, იმ სოფლელს, რომელიც ახალის გადასახადით უკმაყოფილოდ დარჩება. ნება ეძლევა პირველ ოქტომბრამდე განაცხადოს თავისი უკმაყოფილება ოზურგეთის სამაზრო საკრებულოში. ზოგიერთებმა კიდევაც შეიტანეს განცხადება, მაგრამ რა გამოვა აქედან, ალაჰმა უწყის!

სამწუხაროა, როცა ისეთს დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორიც მამულებზე გადასახადების გაწერაა, ჩვენში ყურადღებას არავინ აქცევს; სოფლელებში დიდს უკმაყოფილებას იწვევს სადგილ-მამულო გადასახადის მოუწესრიგებლობა. თუმცა დედამიწა გამოიფიტა და შესავალს წინანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლებს იძლევა, მაგრამ მი-

---

დაც გულ-ჩათხრობილი და აწიოკებული პატარა სოფელი. უნდა განახათ, რა ლამაზი და რა ღვთიურ სიმშვენიერით იყო სავსე მუდამ წყნარი და გამოუთქმელი მწუხარებაში! არავითარი ხმაურობა არ არღვევდა მის მყუდროებას, გარდა მოჩუხჩუხე მდინარისა, რომელიც ვერცხლის ზოლივით სოფელს ერთგულად თავს ევლებოდა „ნუ გძინავსო", განუწყვეტლად ჩაჰბუტბუტებდა. მის ნაპირებზე თავ ჩაქინდრული ნერგები მოჩვენებასავით იცქირებოდნენ, რომელნიც ოდნავ ნიავის დაბერვაზე ერთმანეთს თავებს უკრავდნენ და თან იდუმლად რაღაზედაც ჩურჩულებდნენ. მათ ჩურჩულს ჭრიჭინების განუწყვეტლი ჭრიჭინი და მოკრიალებულ კალოებზე მთასავით ამოდგმულ ძნების შრიალი წყნარად ბანს აძლევდა... ირგვლივ კი დუმდა ყველაფერი, მიუხედავად მისა, რომ კალოებზედ მომუშავენი დაუსვენებლად განაგრძობდნენ მუშაობას, მაგრამ ისე ჩუმად და ისე ულ გაკმენდილნი, რომ შორიდგან, მთვარის შუქზედ, მოძრავ აჩრდილებს წააგავდნენ.

მამასახლისსაც, სამხრის შემდეგ თავისი კალო მოერწყო და, მოუცლელობის გამო, დასაბინავებელ ძნავს საყარაულოდ გვერდით მოწოლოდა. დაღლილ-დაქანცულს უნდოდა როგორმე თვალი ოდნავ მიელულა, მაგრამ, საუბედუროდ, ძილი შორს უფრთხოდა. სამაგიეროდ რაღაცა შავი ფიქრები თავს ეხვეოდა და მოსვენებას არ აძლევდა. მთვარეც, თითქოს ჯიბრზე, ჯიღვლიანად შიგ თვალებში ჩასჩერებოდა და ყველა იმის საქციელს იმის ფრად უსურათებდა. საკვირველია, თითქოს უსამართლობას დიდი ხანია შეჩვეულიყო, მაგრამ დღეს კი ნათლად გულის სიღრმიდან ამოძახილი რაღაც ხმა მოსვენებას არ აძლევდა, თავიდან ფიქრებს ვერ იშორებდა. ჩუ!.. აგერ, თითქოს ფოთლებმა ერთ წამს შრიალი შესწყვიტეს, ძნაც უეცრად მიყუჩდა, სამაგიეროდ შორი-ახლო სევდით სავსე კიკას წყნარი სიმღერა გაისმა და ის არე-მარე თითქოს ქვითინით აავსო:

> შენი ჭირიმე მთვარეო,
> ნუ მტანჯავ, შემიბრალეო,
> ჩემს სევდა და ვარამი
> სიკვდილში გამიცვალეო!
> აღარასა გთხოვ ამის მეტს,
> ბედი დამატყდა მწარეო;
> ეს მოლოდინით ტანჯული
> სული შენ ჩაიბარეო.
> ნუღარ მანახვებ ვაებას
> ცოლ-შვილის დანავებას;
> თორემ ეს გული, საბრალო,
> ღამის მახვილზე აებას!

უგდებდა მამასახლისი ყურს და იმ სიმღერასთან ერთად თვალ წინ ხან ფიაქრებით დასიებული ნინიკა ეხატებოდა, რომელმაც წამლისათვის შეგროვილი ფული წყევლა-კრულვით ზედ თავზე მიაყარა და საცოდავად აცრემლებულმა კანკალით მიაძახა: „აჰა ესეც შენ და ჩემი ჭირი, ჩემი ვაებაც შენაო." ხან გიგიაანთ წიწმატა ფეფე წარმოუდგა თვალწინ, რომელიც მეტის სიმწარით ერთ დაბალ ტანის „ბორჩიკს" შიგ საკინძეში ეცა და პერანგი ზედ შემოაფხრიწა, ბოლოს სასამართლოში გამომწყვდეული თავდასისხლიანებული ილიკო მოაგონდა, ერთი ღრმად ამოიოხრა და გულდაღლილმა ოდნავ თავისთვის განაგრძო:

„მერე რისთვის, რაო ჩემო? განა სიკეთე სამარეში ვის ჩაჰყოლია, რომ სიავკაცე ვისმეს შერჩეს! ეხ, ეშმაკის მუშა—ღმერთმა დაფუშაო, სწორედ ჩემზეა ნათქვამი. ხეტა რა ჭირად მინდოდა, რაც შევიძინე, რა კეთილი დამაყარა, ჯავრისა და ვარამის მეტი! ის არ მერჩივნა, ყველასთან ერთად ერთი სამჯერ მეტი გადამეხადა და ასეთ ტანჯვაში არ ჩავარდნილიყავ? აი, წყეულიმც იყვეს ის დღე, რა დღესაც მე მამასახლისობა ვიკისრე და ეშმაკის ცხენზე შევჯექი, მაგრამ რა ჭირი მომაგონებდა, ასე გამოვიცვლებოდი და ასეთი გულ-ძაღლი შევიქმნებოდი, თორემ... განა..."

აქ უცებ ხმა მიუსუსტდა, რადგან დაღლილობამ თავისი გაიტანა და მოუსვენარი ძილი თავს დაატეხა. ჩაეძინა გაბრიელ მამასახლისს, მაგრამ ვაი იმ ძილს, რომ ის ძილი იყო: აუარებელი, ერთი მეორეზე, გულ შემზარავი სიზმრები სულს უვიწროვებდა და ქრქოლასა ჰგვრიდა იწვა გულ-დაღმა ნესტიან დედა-მიწაზე და შიშისაგან გულ გახეთქილს ოფლის ღვართ-ქაფი სდიოდა. ჰხედავდა, ვითომ მზე უკუღმა ამოვიდა, მაგრამ ისიც ისეთი პატარა, ისეთი უშნო, რომ მისი შუქი სიბნელემ შთანთქა. ცას უეცრად შავი ღრუბლები მოსწყდა და ქვართლის ნაფლეთებივით იმის სახლ-კარს შემოესხვია. ამ დროს ქარ-ბუქიც ამოვარდა, გამწარებული კვნესა გრიალით ბზით სავსე მის საბძელს გამეტებით მიაწყდა და გვერდები გამოუნგრია. იმ წამსვე მზეზე, შავით მოსილი, განსვენებული მისი სიდედრი ხელ აპყრობილი ალიმართა და სასოწარკვეთილის ხმით უსაყვედურა:

— შენი ბრალია გაბრიელ, მაგრამ ღმერთი დიდია, მოგეკითხება, არ შეგარჩენსო,

— „ღმერთი დიდია, გაბრიელ, მოგეკითხება, არ შეგარჩენსო"!—გადმოსძახოდა სწორედ ამ დროს მამასახლისის უშველებელ ძნის იქით გულ-ამომჯდარი მარო და თან წასაკიდებლად აპრიალებულ კვარს მორიდებით ჰაერში სწვამდა, თან გულში ცემით განაგრძობდა:—თავ შემოგევლე, ჩემო ილო! მაპატიე, რომ იმ ურჯულოს სამაგიეროს ვერ უხდი. თუმცა შენი ცოდვით გულს გენია მიკიდია, მაგრამ რა უყო, შენ გენაცვალე, როცა, ისედაც უბედურ, მომუშავე ხალხს დაჰბრალდება ყველაფერი და ჩემს მაგივრად ცეცხლს ამათ წაუკიდებენ, მთელი სოფელი შიშით დაიდაგება და მეც მეტი აღარ მინდა, სულით და ხორცით დავიტანჯები. არა უშავს-რა! საკვლაოდ დარჩეს და თუ მე მეტი გადუხადე, ღმერთი ხომ დიდია, იქნება, იმ ჩაქოლვიდს, იქ მოსწიოს, სადაც თვითონ არ მოელოდეს.

ამ სიტყვებზე მამასახლისი უცებ გამოერკვია, თვალები ძალ-დატანებით გაახილა და რა დაინახა ჩირაღდნით შენათებული თეთრად მოსილი ქალი, მიშველე ღმერთოვო—წაილუღლუღა შიშისაგან ენა ჩავარდნილმა და ლოცვა-ვედრებით იმის პირდა-პირ პირქვე დაემხო.

მეორე დღეს მთელ სოფელს ერთი ალიაქოთი და თავში-ცემა შეუდგა. ამბობდნენ—თვალი დაუდგა მამასახლისს, ისოფლის ფული სხვისთვის რომ გაუცია და ხელ-მეორედ ხალხს რომ ტყავს აძრობს, თურმე წუხელის თავისი გამწყრალი ანგელოზი მოსჩვენებია და ასე უთქვამს: გაბრიელ! ეგრე ურჯულოდ ნუ ეპყრობი ე საწყალ ხალხს, თორემ ღმერთი დიდია და ცოდვებს მალე მოგწევსო. ეხლა თურმე, საწყალი გულ-შემოყრილი პირ-ქვე წევს და საცოდავად ღმუისო.

**ცქმიტი.**

წის ბაჟი მაინც უოგედ წლობით მატულობს. ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, კერძო საკუთრება ცვალებადია და ხშირად ხელიდან ხელში გადადის: ის სოფლელი, რომელიც საკუთრებას იძენს, რა თქმა უნდა, ახალ გადასახადს ვერ ასცდება, მაგრამ საგალალო ისაა, რომ მშრალზე დარჩენილი გამყიდველი წინანდებურად იხდის გადასახადს გაყიდულ მიწაზე. ხშირად შეხვდებით ისეთს სოფლელს, რომელსაც ერთი დესეტინა მიწა შერჩენია და ხუთისას კი იხდის. არ ვიცი, რით ხელმძღვანელობენ გადასახადების გამწერნი: დიდი ხანია თვალს ვადევნებ, მაგრამ ერთხელაც არ მინახავს ვინმე ჩამოსულიყო სოფელში და საკუთრებათა რაოდენობა შეემოწმებინა.

გადასახადების გამწერებმა ახლად იცოდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე, მაგრამ ცნობები მაინც რუსულად დაუსტამბავთ. როგორც ვიცით, სოფელში რუსულის მცოდნე სანთლით საძებარია და სოფლელმა მთელი დღე უნდა დაჰკარგოს ხეირიანად გადამთარგმნელის ძებნაში. ზოგიერთებს არც კი გაუგიათ, რა სწერა ცნობებში. „პოპომნიკმა კი მომიტანა, ძმავ, რაცხა ქაღალდი, მარა რა ვიცი, რა სწერია შით!" ამბობენ. ამნაირად ბევრი ცნობების შინაარს მაშინ გაიგებს სოფლე, როცა გასამკაცებული გადასახადი მიადგება კარზე.

ტეხა-კრეფა მოახლოვდა, მაგრამ მოსატეხ-მოსაკრეფი შარშანდელსავით ბლომად არა გვაქვს. გამუდმებულმა გვალვებმა ნამუშევარს ძალიან ავნო. ბევრ ადგილას ჭინახული სულ გადახმა. კარგი პირი უჩანს სიმინდს და ღომს მხოლოდ ჭაობიან ადგილებში. საერთოდ წელს სამუალოზე ნაკლები მოსავალია მოსალოდნელი, ვენახსაც ნაკლები ასხია, თუმცა ყურძენი კარგად დამწიფდა.

წელიწადი შესრულდა, რაც მთავრობის მამასახლისს და ოთხ სტრაჟნიკს ვინახავთ. ვფიქრობდით, წლის თავზე მაინც გაგვანთავისუფლებდნენ ამ სასჯელისაგან, მაგრამ როგორც გავიგეთ, ექვსი თვით კიდევ გვიტოვებენ მამასახლისს...

გასულ ივლისის პირველ რიცხვებში შეუდგნენ დრამის ფულის მობოჭვას. თითო კომლს გადასახადად ერგო 12 მანეთი. ეს ფული ექვსი თვის განმავლობაში უნდა აღებულიყო. ივლისში თითო კომლს გადახდა 2 მანეთი. მამასახლისს თითქოს ებრალებოდა სოფლელები და ამბობდა: „ეხლა, ძიავ, მთელ გურიაში ჰკრეფენ დრამის ფულს, თვარა მე ბარემ არ ავჰკრეფდიო". მაგრამ მამასახლისის სიბრალული ფუჭი გამოდგა: როგორც გავიგეთ, ივლისში მხოლოდ რამდენიმე „ერთგულ" მამასახლისს უკისრნია დრამის ფულის მობოჭვა, დანარჩენ სოფლებში დრამა ჯერაც არ მოუთხოვიათ. №.

# სპარსეთი

**ოსმალეთის ჯარი სპარსეთში.**

ოსმალეთის ჯარი ხელახლად გადავიდა სპარსეთში და გადასახადების მოკრებას შეუდგა სპარსელთა სოფლებში. სპარსეთის ელჩმა სტამბოლში ამის თაობაზე პროტესტი გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას. დიდი ვეზირი დაჰპირდა, ტელეგრაფით პასუხს მოვსთხოვ ჯარის უფროსსაო.

**მამედ-ალის მოგზაურობა.**

მამედ-ალი მეტად ნელა მოგზაურობს. ოდესიდან შეეკითხნენ როსტოვისა და პეტროვსკის სადგურების უფროსებს, როდის მოვა მამედ-ალიო. მათ უპასუხეს, რომ ნაშაჰარი გზაში სადღაც გაჩერდა და არ ვიცით, როდის მოვა რუსეთშიო.

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო წარმოდგენა.** მეორე სახალხო წარმოდგენამაც ზუბალაშვილის სახალხო სახლში ისევე კარგად ჩაიარა, როგორც პირველმა. წარმოადგინეს შექსპირის პიესა „ჭირვეული ცოლის მორჯულება". როგორც ყოველთვის, ეხლაც სცენის მოყვარეებს ეტყობოდათ შეგნებული მომზადება და საქმისადმი სიყვარული. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენი სცენის მოყვარენი ყოველ-გვარ პიესის წარმოდგენას რიგიანად შესძლებენ. ცოტად უცხო ტანისამოსი ეხამუშებოდათ. მაგრამ ამასაც მალე შეეჩვევიან. ყურადღება მიიქცია კატერინას როლის ამსრულებელმა თ. თამარაშვილის ასულმა. მართლა რომ კაპასი ქალი დაგვიხატა. სხვებიც ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლსა, მხოლოდ პაუზები აფერხებდა საქმეს. ასეთი პიესა ჩქარის ტემპით უნდა მიდიოდეს და მოთამაშენი რეპლიკებს არ უნდა აგვიანებდნენ. სცენის მოყვარეთა გარდა ორი არტისტიც იღებდა მონაწილეობას—კ. მესხი და გედევანოვი. გედევანოვმა ბევრი აცინა დამსწრენი, კ. მესხის, როგორც შეფატუე, შარშანდელს აქეთ, ამ პიესის წარმოდგენის შემდეგ, როლი, ცოტა არ იყოს, დავიწყებია...

თეატრი, რა თქმა უნდა, გაჭედილი იყო. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 26 სექტემბრისათვის (შაბათია). წარმოადგენენ ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილს".

—

**ოპერა** („ქეზნ ზა ცარია"). გუშინ წინ გაიღო კარი სახაზინო თეატრისა, სადაც საოპერო არტისტთა ამხანაგობა დამკვიდრდა. ამხანაგობის საქმეებს განაგებს შარშანდელი ანტრეპრენიორი ანტონ ეიხენვალდი. განცხადებებს და რეკლამებს რომ მივხედოთ, ამხანაგობა ბევრ რასმე გვპირდება. განახორციელებს თუ არა ამ დაპირებათ, ამას მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება პირველ წარმოდგენას,—იგი არც თუ საიმედო მომავალს უნდა გვიქადდეს.

თვით ოპერის სასცენო მოწყობაში აქაიქ სჩანს ახალი ხელი, მაგრამ ეს ხელი ყოველ შემთხვევაში როდი ვარგისობს. მაგალითად, პოლონელთა ბანაკი ახალის სასცენო გეგმით არის მოწყობილი, ახალის დეკორაციებით მორთული, მაგრამ მოქეიფეთა ჯგუფები ისეა განაწილებული სცენაზედ, რომ ადგილი აღარ რჩება მოცეკვავეთათვის, მაშინ როდესაც უმთავრესი მნიშვნელობა ამ სცენისა კომპოზიტორს ცეკვისათვის მიუქცევია. ბ-ნთ რეჟისორების განზრახვა კარგად მესმის: მათ უნდათ ამ სცენაში ბალეტის მოქმედება რეალურ ცხოვრებას დაუახლოვონ, უპირატესი ბატონობა წაართვან და ქეიფის ჩვეულებრივ თანამგზავრად გახადონ, მაგრამ ამ განზრახვას სხვაგვარი განხორციელება ესაჭიროება, ვიდრე ის, რომ სცენის შიგ შუაგულში სავარძლები ჩასხხიროდ და ზედ მოინახენი წამოსხა. ამის გამო მოცეკვავეთა ნავარდი, სიხალისე, გრძნობით ალსავსე მიხვრა-მოხვრა, რასაც გლინკას ალმაფრენა შესანიშნავის მუსიკალურის ფერადებით აღნიშნავს,—შეიკუმშა, აირ-დაირია, გაუგემურდა. ამ დროს თვით მუსიკაც გაბუნდოვანდა, გაუფერულდა. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მესამე მოქმედებაში, როცა სუსანინი თოვლიანი შემოდის ოთახში,—გარედ გოგონები საზაფხულო ტანისამოსში გამოწყობილნი დაიარებიან. ეს, შეიძლება, წვრილმანი შეცდომა იყოს, მაგრამ იქ, საცა დოინჯ-შემოყრილის პრეტენზიები იწყობენ საქმეს,—ყველაფერი, თვით ნაწილაკი შეცდომაც დიდ რამედ მოსჩანს.

ასეა თუ ისე, მაინც არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ საქმის გამგენი, როგორც პირველ წარმოდგენას ეტყობა, ძალიან ცდილობენ სიახლის სული შთაბერონ ძველ, ტრადიციებად გადაქცეულს სასცენო მართვა-მოწყობას.

მომღერალთა შესახებ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყველანი საკმაოდ მოისუსტებდნენ..

ჩვენი ძველი ნაცნობი ბორისენკო არც წინად იყო კარგ-ხმიანი მომღერალი, ახლა ხომ მთლად მინელებულა, მილეულა. მისი სიმღერა სიამოვნების მაგიერ—უკმაყოფილებას ჰფენს ადამიანის სმენას, განსაკუთრებით იმისთანა მაღალ ფარდიან პარტიაში, როგორიც საბინინის პარტიაა.

ბ-ნი ვალეცკი ამ რამდენიმე წლის წინად პირველად სუსანინისავე როლში გამოვიდა და მაშინ უკეთესი შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ, ვიდრე ამ რიგობაზე. ახლა მისი ხმა, ცოტა არ იყოს, შერყეულია, ნაკლებ მკვეთრი და გრძნობა ნარევი.

ქ-ნი დე-ვოს-სობოლევა საკმაოდ მოეწონა საზოგადოებას ანტონიდას როლში. პირადად მე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც ანტონიდას სასიმღერო ჰანგები მეტის მეტად რთულია და ძნელი გადმოსაცემი, ამასთანავე მომღერალს მღელვარებაც საკმაოდ ეტყობოდა.

ქ-ნი არდ უფერული ვანია გამოდგა. ან შეიძლება ავად იყო.

მამაკაცთა ხორო სუსტია, სულ ათიოდე კაცი იქნებოდა. ქალთა ხოროს არა უშავს რა.

ორკესტრის ხელმძღვანელმა მთავარმა ლოტბარმა მიკლაშევსკიმ არ დამაკმაყოფილა. ისე მოქმედებს მაყურებელზე, თითქოს ეძნელებოდეს ლოტბარობა, თითქოს ორკესტრი არ ემორჩილებოდეს. ადგილ-ადგილ არეულ-დარეულობა ეტყობა ორკესტრს, სტილის უფერულობა-უმოლიანობა.

თეატრი ხალხით გაჭედილი იყო. ქ-ნ სობოლევას და არდს ყვავილები მიართვეს. აღტაცება არ შევვინიშნავს საზოგადოებისათვის. **იინ.**

# უცხოეთი

**შემოსავლის დაკვალად გადასახადი ინგლისის ბიუჯეტში.**

ინგლისის დეპუტატთა პალატამ უკვე დაასრულა ბიუჯეტის პირველ სამ ნაწილის მუხლ და მუხლ განხილვა, ესე იგი მან უკვე განიხილა ის მუხლები, რომლებიც შეეხებიან საადგილ-მამულო, მაგარ სასმელებზე და მემკვიდრეობაზე დაწესებულ გადასახადებს, და შეუდგა ბიუჯეტის იმ მეოთხე ნაწილის განხილვას, რომელიც შეეხება შემოსავლის დაკვალად გადასახადს.

ეს ნაწილი იწყება ბიუჯეტის მე-46 მუხლიდან, რომლითაც დადგენილია, რომ შემოსავლის დაკვალად გადასახადი გამოერთმევა ეოგედ 1 გირვანქა სტერლინგ—შემოსავალზე (1 თუმანზე)—1 შილინგი და 2 პენსი (1 შილინგი—50 კაპ., 1 პენსი—4 კაპ.). დეპეშამ უკვე გვაცნობა, რომ ეს მუხლი ერთხმად მიიღო დეპუტატთა პალატამ მას შემდეგ, როდესაც კონსერვატორების მეთაურმა ბალფურმა განაცხადა, რომ შემოსავლის დაკვალად გადასახადის მომატება აუცილებელია, თუ—როგორც ეხლანდელი ლიბერალური სამინისტრო ნდომობს,—პალატა უარს იტყვის სადამოვნ. ბაჟების დაწესებაზეო. ამავე დროს ბალფურმა განაცხადა, რომ ესეთი დიდი შემოსავლის დაკვალად გადასახადი მას მიაჩნია მეტად ცუდ ნიშნად ინგლისის საფინანსო მდგომარეობისთვის. მართლაც 1 შილინგი და 2 პენსი 1 გირვანქა—შემოსავალზე შეადგენს შემოსავლის თითქმის 6 პროცენტს და პირველის შეხედვით შეიძლება მეტად ბევრად ეჩვენოს კაცსა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ 6 პროცენტი მხოლოდ საზოგადო ნორმაა კანონისა და ასეთს გადასახადს სრულად გადიხდიან მარტო მდიდრები, ხოლო ღარიბებმა და წვრილ შეძლების ხალხს ბეჯრნაირი შეღავათი ეძლევათ. თავდაპირველად წლიური შემოსავალი 160 გირვანქამდე სრულიად განთავისუფლებულია ამ გადასახადისაგან. მერე, ცოლშვილიანებსაც შეღავათი აქვთ მიცემული: რამდენიც ბავშვი ჰყავთ, იმდენი გირვანქა შემოსავალი უნთავისუფლდებათ გადასახადისაგან; ის შემოსავალი, რომელზედაც აიღებენ გადასახადს კანაწილებულია ორ კატეგორიად: შრომით ნაშოვნი და უშრომლად ნაშოვნი. შრომით ნაშოვნ შემოსავალზე ამას იქითაც არ აიღებენ 6 პროცენტს; ასეთ შემოსავალზე, თუ იგი არ აღემატება 2000 გირვანქას, აიღებენ მხოლოდ $3^3/_4$ პროცენტს, და თუ იგი არ აღემატება 3000 გირვანქას—5 პროცენტს. ასე რომ 6 პროცენტიანი გადასახადი მთელის თავის სიმძიმით აწვება მხოლოდ უშრომლად ნაშოვნ შემოსავალს, 160 გირვანქაზე ანუ 1000 მანეთზე გადამეტებულს, და შრომით ნაშოვნ შემოსავალს, წელიწადში 3000 გირვანქაზე ანუ 30,000 მანეთზე გადამეტებულს.

ასე რომ ეხლანდელი ბიუჯეტი აქაც არა ჰლალატობს დემოკრატიულ პრინციპებს. გადასახადი მოემატებათ მარტო მდიდრებს, რომლებსაც არ გაუჭირდებათ მისი გადახდა. ამიტომ კონსერვატორების თანხმობა ამ გადასახადის მომატებაზე საყურადღებო ნიშნად უნდა ჩაითვალოს. თუმცა ისიც-კი უნდა გავიხსენოთ, რომ ფინანსთა მინისტრმა ბიუჯეტში თვალსაჩინო ცვლილება შეიტანა ლორდების სასარგებლოდ, ამით მათი გული მოალბო და გაააადვილა ბიუჯეტის დამტკიცება ლორდთა პალატაში. ამ ცვლილების წყალობით ინგლისელ მემამულეებს დასხლოვებით 500 ათასი გირვანქა დარჩებათ ჯიბეში.

**ასკვიტის სიტყვა.**

„ინგლისელ კონსერვატორების გარდა, ფინანსთა მინისტრის ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტის წინააღმდეგ გაილაშქრა გამოჩენილმა „ლიბერალმა" ლორდმა როზბერმაც. მან გულმხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ამ „რევოლიუციონურ", „სოციალისტურ" ბიუჯეტზე და მკაცრად დაჰგმო იგი. მაგრამ მან მაინც ვერ გაუტეხა სახელი ეხლანდელ ლიბერალურ სამინისტროს, პირიქით მისმა გაბედულმა გალაშქრებამ შეაერთა ლიბერალები, მუშათა პარტია დაუახლოვა სამინისტროს და თითონ როზბერის წინააღმდეგ აამხედრა შეძლებულ ხალხის წრეებიც, რომლებიც თითქო წინააღმდეგნი უნდა ყოფილიყვნენ რევოლიუციონურ ბიუჯეტისა. ტრედ-უნიონისტების კონგრესმა თანაგრძნობა გამოუცხადა სამინისტროს, ხოლო ლიბერალ ბანკირებისა და სიტის (მსხვილ ბურჟუაზიის უბანია ლონდონში) გამოჩენილ წარმომადგენელთა ჯგუფმა მოწოდება გამოსცა ბიუჯეტის დასაცველად,—ყველა ეს გვიჩვენებს, რომ სამინისტროს მდგომარეობა როზბერის მედგარ იერიშის შემდეგაც არ შერყეულა. თითონ როზბერის კი სახელი გატყდა. ეხლა მას ისეთ წრეებში იგდებენ სასაცილოდ, რომელთაგან ეს მოსალოდნელი არ იყო. აი, მაგალითად, კონსერვატორ-ფრიტრედერების (თავისუფალ ვაჭრების მომხრე კონსერვატორების) გაზეთის რედაქტორი როგორ დასცინის როზბერის.—ოდესმე გლადსტონის ამხანაგს! დღემდე ექვს როზბერის ვიცნობდით; როზბერი—ლიბერალს, როზბერი—უნიონისტს, უპარტიოს, მუშების სასარგებლო კანონების მომხრეს, ხოლო ეხლა კიდევ ახალი როზბერი გავიცანით—იგი უთუოდ დიდი მემამულე, რომელსაც განკალი მოსდის შიშით, რომ მის თვალუწვდენელ მიწებს მეტი გადასახადი დაედებათ.

მაგრამ როზბერის ყველაზე მაგარი და ძლიერი პასუხი მისცა პირველმა მინისტრმა ასკვიტმა ბირმინჰამში, სადაც ლიბერალებმა დიდი მიტინგი გამართეს. ამ მიტინგში მონაწილეობა მიიღო 30 ათასმა სულმა. მიტინგს დაესწრო აგრეთვე დეპუტატთა პალატის 100 წევრი, რომლებიც ასკვიტთან ერთად საგანგებო მატარებლით მისულიყვნენ ბირმინჰამში და ამ გარემოების წყალობით ასკვიტის სიტყვას უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა.

ასკვიტმა, სხვათა შორის, სთქვა: „ამ კრების მონაწილენი ბეჯითად მოითხოვენ, რომ გადასახადების ტვირთი სამართლიანად განაწილდეს და რომ ამ საქმეში გადამწყვეტი ხმა უნდა ჰქონდეს ხალხის წარმომადგენლებს. ახალ გადასახადების აუცილებლობა გვედამ ადვილია: ახალი გადასახადები ერთის მხრით საჭიროა ჩვენი ქვეყნის უშიშროების დასაცველად, ხოლო მეორეს მხრით, პირველხარისხოვან სოციალურ რეფორმების განსახორციელებლად".

ასკვიტმა თითო-თითოდ გაარჩია ახალი გადასახადები და დაამტკიცა მათი სამართლიანობა. ყველაზე დაწვრილებით მან ილაპარაკა მიწის გადასახადზე, რადგან ლორდ როზბერიმაც სწორედ ამ გადასახადზე მიიტანა მძლავრი იერიში. ასკვიტმა აღნიშნა, რომ მუშები ხმას არ იღებენ თამბაქოსა და ლუდის ბაჟის მომატების წინააღმდეგო და ლორდებს-კი გონება დაებნათ, რომ ამას იქით ორიოდე შაურით მეტი უნდა გადაიხადონ წინანდელზე. ჩივიან, ვითომ ჩვენს ბიუჯეტს სოციალისტური ხასიათი ჰქონდეს, ვითომ იგი საკუთრების უფლებას სპობდეს. ეს საჩივარი, რომელსაც უოგედ დღე იმეორებენ პროტექციონისტების გაზეთები, ნამდვილად სასაცილოა, მაგრამ მას განსაკუთრებული ხასიათი ეძლევა იმ სახელმწიფო მოღვაწის პირში, რომელსაც დიდი სახელი აქვს მოპოვებული და რომელიც ოდესმე ლიბერალი იყო. როზბერი—ჩემი ძველი პოლიტიკური მეგობარია... მე სიხარულითა და სიამაყით ვმუშაობდი მის ხელმძღვანელობის ქვეშ, როდესაც იგი ლიბერალურ სამინისტროს მეთაურად იყო... 1844 წელს როზბერი თითონაც მოითხოვდა გადასახადის დადებას შეუმუშავებელ მიწებზე. ეგაა მაშინ იგი გლადსტონის შეგირდი იყო. ეხლანდელი მთავრობის წარმომადგენლები სულაც არ არიან „შეგნებული სოციალისტები", როგორც მათ როზბერი ეძახის, და სულაც არ მოითხოვენ კერძო საკუთრების გაუქმებას...

ბიუჯეტისა საქმეში ხალხის წარმომადგენლებს გადამწყვეტი ხმა აქვთ. ეს წესი შეადგენს ჩვენის კონსტიტუციის უღრმეს შინაარსს და ნაკურთხია ჩვეულებითა და ისტორიულ პრეცედენტებით. ყოველი კანონი, რომელიც ახალ გადასახადებს აწესებდა, იწყება სიტყვებით: „ინგლისის დეპუტატთა პალატამ დაადგინა"... იქ ლორდების ხსენებაც არაა... ეს წესი ჩვენში არსებობს 1628 წლიდან და თვით გამძვინვარებულ რეაქციის დროსაც-კი, 1672 და 1678 წლებშიაც-კი, არ შერყეულა იგი. თავის დროზე ლიბერალი როზბერიც და კონსერვატორი სალისბერიც გადაწყვეტით აცხადებდნენ, რომ ფინანსების საქმე ლორდებს არ ეკითხებათო. ლორდებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ხალხის სურვილს და ქედი მოიხადონ მის ნების წინაშე, როგორც ბევრჯელ წინადაც მოუხრიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისში მოხდება ხამდვილი რევოლიუცია...


**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებული 1886 წელს.

(ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ).

უოგედ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^1/_4$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—175)

**ტ. მ. ფილოიანის**

**საკომერციო ცოდნის კურსებზე**

(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეტიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა **ჯგუფები** ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**

(20—ხალ.—16)

**გამოვიდა ჟურნალი**

**„რუსსკაია მისლი"**

(«РУССКАЯ МЫСЛЬ»)

სექტემბრის (მეცხრე) ნომერი შემდეგის შინაარსით:

1. „ლილია ვენედა", ტრაგ. იულია სლოვაცკისა, პოლონურიდან ლექსად თარგმნილი კ. დ. ბალმონტისა; 2. „Uita somnium breve" რომანი რიკარდ გუხისა, გერმან. თარგმნილი ს. ს. ზოხლოვის მიერ; 3. „მკვდარი ტალღა", რომანი ო. მირტოვისა; 4. „ბედნიერი პერი", რომანი ჰენრიკო პონტოპიდინისა, დანიურიდან თარგმნილი მ. პ. ბლაგოვეშჩენსკაიას მიერ; 5. „შვეიცარიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებში", კ. ნ. სოკოლოვისა; 6. „მოკლე ისტორიული მიმოხილვა ნივთიერებათა ქიმიურ მოძღვრების შესახებ», ივ. ა. კაბლუკოვისა; 7. «რა არის სოციოლოგია», ს. ლ. ფრანკისა; 8. «ფილოსოფიური დასაბუთება ქრისტიანობისა", ნიკ. ბერდიაევისა; 9. „ახალი შრომა ინგლისის სოციალურ ისტორიის შესახებ", პავლე ვინოგრადოვისა; 10. „იულიუს სლოვაცკი", მისი დაბადების ასი წლის შესრულების გამო, ლ. ს. კოზლოვსკისა; 11. „წიგნი რუსეთის რევოლიუციის შესახებ», ა. ს. იზგოევისა; 12. „ხალხი და ინტელიგენცია», ნ. მინსკისა; 13. «წერილი გერმანიიდან», ვილენც-გეროვიცისა; 14. მიმდინარე საკითხები შინაურ ცხოვრებისა: 1. „ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმები", ვას. გოლუბიოვისა, 2. «რუსეთის 1909 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი", ლ. ნ. იასნოპოლსკისა; 15. «ლიუდვიგ ჰუმპლოვიჩის ხსოვნას", პეტრე სტრუვესი; 16. „ო. ნ. ჩიუმინა"; 17. „უცხოეთის მიმოხილვა", ლ. ი. გალბერშტადტისა; 18. ბიბლიოგრაფიული განყოფილება; 19. განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1909 წლისთვის.

**ხელის მოწერის პირობები:**

| | ერთი წლით. | 9 თვით. | 6 თვით. | 3 თვით. | 1 თვით. |
|---|---|---|---|---|---|
| გაგზავნით | 12 მან. | 9 მან. | 6 მან. | 3 მან. | 1 მ. |
| საზღვარ-გარედ. | 14 | 10 მ. 50 კ. | 7 მ. | 3 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ადრესის გამოსაცვლელად 30 კაპ., ქალაქიდან სხვა ქალაქში—55 კაპ. ხელის მოწერა მიიღება: მოსკოვში—ჟურნალის კანტორაში, ს.-პეტერბურგში, ვილნოში და ვარშავაში—კარბასნიკოვის წიგნის მაღაზიაში; კიევში—ოგლობლინისა და სოკოლოვსკის წიგნის მაღაზიებში; ოდესაში—წიგნების მაღაზია „ტრუდში" და „ოდესის ნოვოსტის" მაღაზიაში, სარატოვში—„ნოვ. ვრემ."-ის წიგნის მაღაზიაში, ბაქოში—სუნდუკიანცის წიგნის მაღ.„ სოტრუდნიკ."-ში.

წიგნების საწყობი „რუსსკაია მისლ".

**გამოვიდა ახალი წიგნები, ჟურნ. „რუსკაია მისლი"-ს მიერ გამოცემული:** 1. ა. კორნილოვი—„საზოგადოებრივი მოძრაობა ალექსანდრე II დროს". ფ. 1 მ. 25 კ. ყდით 1 მ. 50 კაპ. „რუსკაია მისლის" ხელის მომწერნი გასაგზავნ ხარჯს არ გადაიხდიან; 2. ზ. ფრენკელი—„ხოლერა და ჩვენი ქალაქები" ფ. 15 კაპ.

„მოსკოვის ყოველკვირეულ და „რუსკ. მისლზე" ერთდროულად ხელის მოწერის ფასი ღირს: 1 წლით 15 მან., 17 მანეთის ნაცვლად; 6 თვით 8 მან., 9 მანეთის ნაცვლად; 3 თვით—4 მანეთი 4 მ. 50 კაპიკის ნაცვლად.

წიგნის მაღაზიებში ერთ დროული ხელის მოწერა არ მიიღება, არც ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანა შეიძლება. (1—1)

**—◀ მიიღება ხელის მოწერა ▶—**

(ხელის მოწერა წელიწადი ითვლება 1909 წლის 1 ნოემბრიდან 1910 წლის 1 ნოემ.-მდე) ყველასათვის ხელმისაწვდენ პირველ სამხატვრო ყოველთვიურ ჟურნალ

**ჟურნალს დამატებად ეძლევა რუსეთისა და უცხოეთის საუკეთესო მხატვრების სურათები.**

| წლით 2 მან. | **„ზვეზდა"-ზე** (ЗВѢЗДА) | ნახევარი წლით 1 მანეთი |
|---|---|---|

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ: ლეონიდ ანდრეევი, არციბაშევი მ. პ., ანდრუსონ ლ. ი., ბარანცევიჩი კ. ს., ბუნინი ი. ა., ბუდაგაჩევი ა. ნ., ბრუსიანინი ვ. ვ., გუსევი ორენბურგელი ს. ნ., გნედიჩი პ. პ., გოროდეცკი სერგეი, იზმაილოვი ა. ა., იზმაილოვი ვლ., კამენსკი ა. პ., კორეცკი ნ. ვ., კუპრინი ა. ი., კუპჩინსკი ფ. ფ., ლაზარევსკი ბ. ა., ლენსკი ვ. ი., ლაზაჩევი გ. ს., მუიჟელი ვ. ვ., ნაიდენოვი ს. ა., ნეფედიევი პ. მ., ნემიროვიჩ-დანჩენკო ვას. ივ., პოტაპენკო ი. ნ., პოზნიაკოვი ნ. ი., პერვუხინი მ. კ., როსლავლევი ა., რიშკოვი გ. ა., სერაფიმოვიჩი ა. ს., სკიტალეცი, ტიხონოვი ვლ. ა., ტიმკოვსკი ნ., ტოლსტოი ა. ნ., უმანოვი-კაპლუნოვსკი ვლ., ფედოროვი ა, მ., ფოფანოვი კ. მ., ცენზორი დ. ა., ჩირიკოვი ე. ნ., ჩეხოვი მ. პ., შჩეგოლევი ი. ლ., შჩეპკინა-კუპერნიკი ტ. ლ. და მრავ. სხვა.

1909—1910 წლის ხელის-მომწერნი 1 ნოემბრიდან მიიღებენ:

**12** მშვენივრად დასურათებულ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ. ნომერს, კარგად დასურათებულ კანით.

**48** სურათ-ავტოტიპს რუსეთის და უცხოეთის გამოჩენილ მხატვრისას.

**12** წიგნს „უცხოელ მწერლების რჩეულ მოთხრობებისას".

**2** სურათს მრავალ-ფერადიანს, ბერლინში დამზადებულს.

ბერლინში დამზადებულს მრავალ-ფერადიან სურათებს მიიღებენ მხოლოდ წლიური ხელის-მომწერნი, რომელნიც 1909 წლის 1 ნოემ.-მდე გამოიწერენ გაზეთს.

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში გაგზავნით ყველა ქალაქში 2 მან.; ნახევარი წლით 1 მან.; ამაზე ნაკლებ ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

რედაქციის ადრესი: Петербургъ, Б. Подъяческая, 39. Редакція художественныхъ журналовъ „Звѣзды" и „Пробужденіе".

მზადდება და 1909 წლის 1 დეკემბერს გამოვა მშვენიერი სამხატვრო გალერეია სურათებისა

**„ევროპიელი მხატვრები"**

200 ცალკე სურათი-ავტოტიპი გამოჩენილ მხატვრებისა, შავისა და სხვა ფერადებით დამზადებული.

ხელის მოწერის ფასი: 200 სურათი მშვენიერ აბგაში 3 მან.
100 სურათი მშვენიერ აბგაშივე 2 მან.

ადრესი: Петербургъ, Б. Подъяческая. 39. Редакція художественныхъ изданій „Пробужденіе".

(3—უ—3)

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. ვ. კორეცკი.**


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**